

ახალი განზომილება

რა შევცვალოთ, რომ გადავრჩეთ!

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს –
ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა
იმართებოდეს! ყალბი და ანტიქართულია
ქვეყნის გარეთ ყურება და მხსნელის ძებნა...
გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და
არა პატრონები! საქართველოს მსახური ცუდი
ხელისუფლებაც კი ათასგზის სჯობს გარედან
მართულ და გარედან ნაქებ-ნადიდებ
ხელისუფალთ!

დავიხსნათ თავი გარედან მართული პარტიებისა
და პოლიტიკოსებისგან, ავირჩიოთ განათლებულ
ადამიანთა ხელისუფლება! ამის გაკეთება
ღირსებით სავსე ადამიანებს შეუძლიათ.
ჩვენ დღეს ამ დიდ ქართულ პროცესს ვინყვებთ.
„ქართული“ არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას
- ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან
ჩვენ ვინყვებთ - დუმილი დღეს ქვეყნის ღალატია,
საკუთარი ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

ახალი განზომილება

გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი. 2019. გვ 60.

სიყვარული აღგვამაღლებს!

დღეს, 2019 წლის 8 თებერვალს, დავითობას, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში, იხსნება „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი“. ორი წლის განმავლობაში, კონგრესის სესიები ჩატარდება მსოფლიოს 40 ქვეყნის 85-ზე მეტ ქალაქში, სადაც ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობის გამო, ათასზე მეტი თანამემამულე ცხოვრობს. კონგრესის შემდგომი სესია გაიმართება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საფრანგეთის ქართველთა მამულ ლევილში. ეს დიდი პროცესი დასრულდება 2020 წლის შემოდგომაზე ეროვნული ყრილობით, რომელიც მიიღებს მომავლის საქართველოს პროგრამას.

საქართველოს განვითარების კონცეფციის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ ავტორთა ჯგუფს, გელათის სესიაზე განსახილველად გამოაქვს მეცნიერ-ანალიტიკოსთა მიერ შეჯერებული პოზიცია სახელწოდებით, „ახალი განზომილება“.

სახელწოდება „ახალი განზომილება“ შემთხვევით არ აგვიჩვენია - თითოეული დოკუმენტი იძლევა დაფიქრების საშუალებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ გადავჩვეთ!

ჩვენ უპირველესად მივიჩნევთ პარტიულ სამთავროებად დაყოფილი საქართველოს სიყვარულით გაერთიანებას, თაობებს შორის ანტიქართული პოლიტიკური მიზნებით ჩატეხილი ხიდის გამთლიანებას, ქვეყნის გარეთ გასულ თანამემამულეთა და ქვეყნის შიგნით დარჩენილთა სულიერი ერთობის აღდგენას... რაც მთავარია, ხალხმა უნდა დაიბრუნოს პოლიტიკოსების (თუ მათ პოლიტიკოსები ჰქვიათ) მიერ წართმეული საქართველო.

საქართველოს ისტორია ადასტურებს, რომ ადვილია დაპირისპირება, ნგრევა, სიძულვილი, სხვისი ლანძღვა-გინება, ხოლო ძნელია თანამშრომლობა, შენება, სიყვარულით ცხოვრება. ვინაიდან დღეს ჩვენ ვიმყოფებით გელათის აკადემიის კედლებში, უპრიანია გავისხენოთ რომ მძლეთამძღლე ქართველ მეფეს - დავით აღმაშენებელსაც დასჭირდა დაენერა „გალობანი სინანულისანი“. მხოლოდ გულწრფელ სინანულს, შენდობას, ადამიანთა ერთობას შეუძლია ქვეყნის გადარჩენა.

ჩვენი გზა სწორედ დავით აღმაშენებლის გზაა!

სიყვარული აღგვამაღლებს!

სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი:

რამაზ გახოკიძე, კობა კობალაძე, ზაურ ნაჭყებია, ზურაბ ფარესიშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, შოთა ჩხეიძე, ირინა ჯიბლაძე

„რასაც თქვენ ფიქრობთ და რის გაკეთებასაც აპირებთ, ეს ჰაერით სჭირდება საქართველოს!“

ილია მეორე

წინ დიდი გეგმებია

მთავარია

ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა!

- **გადასარჩენია** ხალხი და ქვეყანა;
- **მისაღწევია** თაობათა, ქვეყანაში დარჩენილთა და ქვეყნის გარეთ გასულთა ერთიანობა;
- **დასამარცხებელია** სიყალბე და პოლიტიკური მაფია;
- **დასამყარებელია** ნიჭის ძალაუფლება, დღეს არსებული ფულისუფლების ნაცვლად.

ყველაფერი ეს შეუძლიათ მხოლოდ მორალურ ადამიანებს!

ასეთები ბევრნი არიან, მთავარია მოხდეს მათი გაერთიანება საქართველოს განვითარების კონცეფციის **“გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ”**- ირგვლივ, ანუ , მთავარია გათითოკაცებული სიკეთის ერთ მუშტად შეკვრა!

სწორედ ამიტომ:

- ვითანამშრომლოთ უნიკალურ ვებ.გვერდთან www.civilizebuli.ge...

- ვიმეგობროთ ფეისბუქის გვერდთან **“გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ”**,

- გავხედეთ ფეისბუქის დახურული ჯგუფის **“მორალური გუნდი”** წევრი

და, რაც მთავარია:

- ყოველ ადამიანში ვეძებოთ კარგი
- ვებრძოლოთ არა სხვას, არამედ გავიმარჯვოთ საკუთარ თავზე!

ხალხის წერილი

ხელისუფლებისა და ხალხის გასაგონად!

სწორედ ხალხის განწყობის გამომხატველი წერილი სჭირდება დღევანდელ საქართველოს - იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელშიც ხალხი და ჩვენი სამშობლო აღმოჩნდა. იქნებ, ასეთმა წერილმა ხალხი უფრო გაგვაერთიანოს, ხელისუფლება დააფიქროს, ჩვენი უცხოელი მეგობრებიც გამოაფხიზლოს. ფაქტია, რომ კრიზისმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია: ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ: იმიტომ დაგვამშვიეს და დაგვაუძღლურეს, რომ ადვილად გვმართონ.

არ გვინდა ვიფიქროთ: ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ხალხი და ქვეყანა იმ მდგომარეობაში ჩაგვყენეს, რომ მასიურად ვტოვებთ სამშობლოს, უცხოეთში მონურ შრომას ვწევით, რომ საკუთარი თავი და სამშობლოში დარჩენილი ჩვენი ახლობლები გადავარჩინოთ, ჩვენი ქვეყანა კი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა გამდიდრების წყაროდ იქცა.

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ გეგმაზომიერად მიდის ჩვენი გასახლება და ღვთითნაბოძებ მინაზზე უცხოტომელთა ჩამოსახლება!

შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ სახელწოდება “**ხალხის წერილი**” - გადაჭარბებული და პრეტენზიულია. ვფიქრობთ, რომ არა! 3000-ზე მეტმა კაცმა მივიღეთ მონაწილეობა ამ წერილის ჩამოყალიბებაში და ეს არ არის მარტო ჩვენი აზრი.

დიდი მადლობა მეცნიერთა ჯგუფს, რომელმაც შექმნა ჩვენი აზრით, ამ დროისთვის ერთ-ერთი უალრესად საინტერესო და დამაფიქრებელი ქვეყნის განვითარების კონცეფცია: **„გზა ცივილიზებული სახელწმიფოსკენ“**. ჩვენ სწორედ ამ კონცეფციის ირგვლივ ვერთიანდებით. სწორედ მეცნიერთა იმავე ჯგუფმა გადაამუშავა ჩვენი მოსაზრებები და გამოაქვეყნა სათაურით:

„ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მაფია“!

ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ წერილს ბევრი შემოუერთდება.

შემოუერთდება ის ხალხი, ვინც დიდი სიხარულითა და აღტკინებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ოცნებობდა გაბრწყინებულ საქართველოზე.

შემოუერთდება ის ხალხი, ვინც გაჭირვებისა და დამცირების მიუხედავად, მაინც იმედით ფიქრობს სამშობლოსა და მის მომავალზე, შემოუერთდება ის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება - აღარ შეიძლება ვცხოვრობდეთ ქვეყანაში, რომლის ყველა ხელისუფლება 1992 წლიდან მოყოლებული, დღემდე თვითკმაყოფილია და ოპოზიცია გაბოროტებული.

აღარ შეიძლება ვცხოვრობდეთ იმ ქვეყანაში, რომლის ყოველი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ კარგად მუშაობს, ყველაფერს აკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ და ამ დროს ჩვენ საკუთარ თავზე ვხედავდეთ, რომ სიკეთე არ სჩანს, უარესად ვცხოვრობთ; ვხედავდეთ იმას, რომ ჩვენი რჩეულნი, არჩევის დღიდანვე საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახსა და ნაცნობ-მეგობრებზე ფიქრობენ და არა ხალხზე!

ჩვენ არ შეიძლება ვითმენდეთ ამდენ ტყუილს - ვითმენდეთ იმას, რომ სიყალბეში გვაცხოვრებენ. როდემდე უნდა ვითმინოთ ყოველი არჩევნების წინ დაპირებული „ოქროს მთები“ და „რძის მდინარეები“ და რეალურად ვუყუროთ ოქრო-ვერცხლში მცხოვრებ ხელისუფალთ, რომელთათვის ჩვეულებად იქცა (ხატოვნად რომ ვთქვათ), „რძის აბაზანები“.

ვაჭარბებთ ამ შეფასებებში? არ გვგონია.

როცა გავეცანით მეცნიერთა დასკვნებს: იმას, თუ როგორ გვაცხოვრებენ ჩვენ და როგორ ცხოვრობს გაქსუებული დემოკრატია, რას გვაჭმევენ ჩვენ და რას მიირთმევენ თვითონ, რას გვიკრძალავენ ჩვენ და როგორ თვითნებობენ თვითონ, შემადრწუნებელი სურათი მივიღეთ.

თუმცა ეს წერილი მაინც არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და კონკრეტულად არც არავის იცავს. ჩვენ გვინდა

ხალხის ინტერესი იყოს დაცული - იმ ხალხის ინტერესი, ვინც ესწრაფოდა დამოუკიდებლობას, ვინც საკუთარი სისხლისა და ოფლის ფასად მოიტანა დამოუკიდებლობა და ვინც დღეს სილატაკეში ცხოვრობს!

ამ წერილის ადრესატი ხალხიც არის და ხელისუფლებაც. ჩვენი სურვილია, ხელისუფლებამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ ჩვენც, ხალხმაც, რადგან ხალხი ათამამებს და ათავხედებს ხელისუფლებებს, როცა აძლევს იმის უფლებას, რისი უფლებაც არ აქვს! როცა ავიწყდება, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ-ხალხია და როცა ხელისუფლებას, რომელიც მსახურად აირჩია, უფროსად მიიჩნევს, თუ უფროსობის უფლებას აძლევს!

დიახ, ჩვენ ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. ეს წერილიც სწორედ ამ პასუხისმგებლობის განაცხადი უნდა გახდეს ყველა დონის ხელისუფალისათვის - პრეზიდენტით, მთავრობის თავამჯდომარით, პარლამენტის თავამჯდომარით, სასამართლოს თავამჯდომარით დაწყებული, მთელი სახელისუფლებო ვერტიკალის გავლით, სოფლის გამგებლით, საკრებულოს წევრით, რიგითი მოსამართლით დამთავრებული!

ეს წერილი იმის ნიშანიც უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებული დაპირისპირების აგრესიული პოლიტიკა დამანგრეველია, რომ ქუჩის პოლიტიკამ პოლიტიკას გონება ნაართვა და ცდილობს, ხალხი ბრბოდ გვაქციოს.

ჩვენ გონების დაბრუნება გვინდა პოლიტიკაში. ჩვენ თანამშრომლობის ჰარმონიზაცია გვინდა. ჩვენ გვინდა, რეალურად დამკვიდრდეს მთავარი დემოკრატიული პრინციპი: ქვეყანას მართავს ხალხის მიერ დემოკრატიულად (ხაზს ვუსვამთ, დემოკრატიულად) არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

ეს საკითხები კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების კონცეფციაში „გზა ცივილიზებული სახელმწი-

ფოსკენ“. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ ამ კონცეფციის სრულყოფა-გაღრმავებაზე! ასევე ვისურვებდით კონცეფცია სამაგიდოდ იქცეს ყველა დონის ხელისუფალისთვის - როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ასევე სასამართლო დონეზე.

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყოფილა საქართველოს ხელისუფლების (მთავრობის) მთავარი მრჩეველი. **ღიად მივმართავთ ქართველ მეცნიერებს, განსაკუთრებით მეცნიერებათა აკადემიას:** თუ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ხელისუფლებები თქვენი რჩევებით მუშაობდნენ და ამ მდგომარეობაში ვართ, ცუდად ყოფილა ჩვენი მეცნიერების საქმე, ხოლო თუ თქვენ არაფერს გეკითხებიან, ან რასაც ურჩევთ, არ ითვალისინებენ, მაშინ რაღად გვინდა ასეთი ხელისუფლება?! მეცნიერება გაბედულებასთანაა დაკავშირებული. თქვენ აიმაღლეთ ხმა და ნახავთ ხალხის ისეთ მხარდაჭერას, როგორიც დღეს ვერც კი წარმოგიდგენიათ!

იგივეს ვეუბნებით ზოგადად ინტელიგენციას. სიტყვა „ინტელიგენტი“ სათაყვანებელი იყო ჩვენს სამშობლოში. ინტელიგენტის მაგალითებით ვზრდიდით თაობებს. ისინი (ქართველი ინტელიგენცია) რთულ პერიოდშიც კი, ახერხებდნენ სიმართლის თქმას და ხალხის გვერდით დგომას. გრგვინავდა საქართველო მწერალთა, მხატვართა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა ყრილობების მოლოდინში... დღეს რა ხდება? გასაგებია, რომ დაქსაქსეს შემოქმედებითი კავშირები, ხალხი ერთმანეთს დააპირისპირეს... ასეთი დამანგრეველი მუხტი შეიტანეს სპორტში, მედიცინაში, განათლებაში, მაგრამ, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც არ გაიყიდნენ! იქნებ თქვენი ერთობა და კიდევ პატრიარქის ნება, რომ შეიქმნას „**სახელმწიფო კაცების საკრებულო**“, გახდეს შემობრუნების საფუძველი...

ოღითგანვე (ეს საქართველოს მაგალითზეც კარგად სჩანს), **ინტელიგენტი იყო ის, ვინც ხალხს იცავდა ხელისუფლებისგან,**

ვინც ხიდი იყო ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ვინც თავისი ომანიანი შემოძახილით არავის აძლევდა ხელისუფლებას ხალხზე თვითნებობისა და ბატონობის უფლებას.

გულს გვიკლავს, რომ ეს განწყობა სულს ღაფავს, ერთეულებში დარჩა, ძირიადი ნაწილი კი ხელისუფლებას იცავს ხალხისგან. ეს სამარცხვინოა! ხალხში ვეღარ ვსაუბრობთ ინტელიგენციაზე. „გაიყიდნენო“, - გამეფდა ეს აზრი. რეალობა მართლაც, მწარეა. ინტელიგენციამ თავისი უმოქმედობით პოლიტიკოსებსა და პარტიებს ჩაუგდო ხელში საჯიჯგნად ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო!

ვაღიაროთ: ასეთი ინტელიგენცია თავისი დუმილით თუ მორჩილებით, პირველ რიგში, ცუდ სამსახურს უწევს ხელისუფლებას და სახელისუფლებო პარტიებს. ისინი უკონტროლონი ხდებიან, მთელ ძალაუფლებას იგდებენ ხელში, რაც ხალხში მათ მიმართ სიძულვილს აძლიერებს!!!

თუ არა ეს, როგორ უნდა გვიბედავდნენ არჩევნების ტოტალურად გაყალბებას, რომელსაც 30 წელია ვუყურებთ და პრაქტიკულად, მისი მონაწილენი ვხდებით?! ნუთუ ვეღარ დავრწმუნდით, რომ არ შეიძლება ხმის მყიდველთან ვიდგეთ, რომ უბედურებაა ხმის მყიდველიც და გამყიდველიც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხმის მყიდველები ყოდიან სამშობლოს - ყველა კომპრომისზე მიდიან უცხო ძალებთან სახელისუფლებო სკამის შენარჩუნებისთვის.

მოსმენაც კი შემადრწუნებელია, რასაც ეხლა საუბრობენ უცხოელი მიგრანტების ქვეყანაში შემოყვანასთან დაკავშირებით. ზნეობრივი და მართალი ხელისუფლება მთელ მსოფლიოში არსებული ფულის სანაცვლოდაც არ დაუშვებდა ამას!

თუ არა ეს, როგორ უნდა ბედავდეს ხელისუფლება ისეთი ანალიზების იგნორირებას, რომელსაც წლების განმავლობაში მეცნიერები აქვეყნებენ პრესაში და უგზავნიან მას. ხელისუფლება, რომელიც იგნორირებას გაუკეთებს ცნობილ მოღვაწეთა ისეთ წერილს, როგორიც სახელმწიფოს განვითარების კონცეფციაში „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“

„იმედის წერილის“ სახითაა გამოქვეყნებული, ხალხის ხელისუფლება არ არის! როგორც ჩანს, ასეთი შინაარსის წერილებს 2005 წლიდან, ყოველწლიურად უგზავნიდნენ ქვეყნის პირველ პირებს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები და აქვეყნებდნენ პრესაში. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, ასეთი მიმართვები სამთავრობო განხილვის საგანი გახდებოდა. აქ კი, უკადრებელს კადრულობენ: იგნორირება მოღვაწეთა პოზიციის, სრული უპატივცემულობა მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოში შეტანილი წერილების. ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების პატიება ჩვენ, ხალხს ბუმერანგით გვიბრუნდება.

ჩვენი დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის ის, რასაც საინფორმაციო საშუალებები ბედავენ(!) ხალხი დაივიწყეს, ხელისუფლებას ან „ოპოზიციას“ ემსახურებიან, ომი გამოუცხადეს ყოველგვარ ქართულს და რეალურად, ხალხის სამართლის ნაცვლად, სატელევიზიო სამართალი დაამკვიდრეს!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, ის სახელფასო და საპენსიო სისტემა, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრდა?! შეიძლება, პენსიონერს ვის მიერ შექმნილზეც გამდიდრდნენ ხელისუფლებები, გროშებს ამადლიდნენ და თვითონ ასეთი ხელფასები და პრემია-დანამატები ჰქონდეთ?! **იქნებ ხელისუფლებამ დაგვისახელოს** ერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვინმე იღებდეს 150-200-ჯერ მეტს, ვიდრე პენსიონერი, 70-80-ჯერ მეტს, ვიდრე ქვეყნის უმთავრესი საყრდენი - მასწავლებელი. ასეთი მხოლოდ საქართველოა. **იცის კი ვინმემ**, რა პროცენტში აძლევენ ბანკები სესხად პენსიონერს თავისივე პენსიას და მასწავლებელს თავისსავე ხელფასს? წლიური 35 პროცენტის ფარგლებშია! უკადრებელი გვაკადრეს. ვითმენტ!

ნუთუ ვინმეს გვჯერა, რომ ხელისუფალთა ინტერესებში არ შედის და მათი მონაწილეობით არ არის შექმნილი ველური საბანკო სისტემა, რომელიც აღარიბებს, უსახლკაროდ ტოვებს ასიათასებს და ამდიდრებს ერთეულებს?! ან ნუთუ ვერავინ ხე-

დავს, როგორ ძვირდება ნამალი, როგორი მაფია მძვინვარებს ნამლის ბიზნესში, რომ ავადმყოფობა მავანთათვის ბიზნესად და გამდიდრების წყაროდ იქცა. ცოდვას სჩადიან. ასეთი გზით ნაშოვნი ლუკმა სანამლაგია.

დაფიქრდით ხალხო!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის ის დამოკიდებულება, რომელიც ხელისუფლებას აქვს მეცნიერების, კულტურის, განათლების, ხელოვნების მიმართ?! შემეძრწუნებელია იმის გაცნობიერებაც კი, რომ საქართველოში კულტურაზე წლის განმავლობაში იხარჯება იმდენი, რამდენსაც მერიები, გამგეობები, გუბერნიები, სამინისტროები, სახელისუფლებო ვერტიკალი საერთოდ, ოფიციალურად ხარჯავს წლის განმავლობაში რესტორნებში, სხვადასხვა მიღებების დაფინანსებისთვის?! დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, 2008 წლიდან სახელწიფო ბიუჯეტიდან პარტიები უფრო მეტ ფულს იღებენ, ვიდრე მეცნიერებათა აკადემია.

შემადრწუნებელი არ არის ის, რომ პრაქტიკულად, მიტოვებულია ახალგაზრდობა, სტუდენტობა?! ამ ღარიბ ქვეყანაში ყველაფერი ფასიანი გახდა, მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდობა ევროპის ბევრ ქვეყანაში უფასოდ სწავლობს! იცის კი ვინმემ, ფულის გადაუხდელობის გამო, რამდენი სტუდენტია შავ სიაში და გამოცდებზე არ უშვებენ?!

დუმილი და მორჩილება წლებია, აძლიერებს უმაღურობას ჩვენი ემიგრანტების მიმართ. მაღლიერების ნაცვლად, რომ პრაქტიკულად, ქვეყნის გადარჩენის მთელი სიმძიმე ბოლო წლებში მათზე გადავიდა, არათუ მათ ინტერესებს ვერ ვიცავთ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, არამედ, არჩევნებში ხმის უფლებაც კი წავართვით. არაერთი პოლიტიკოსის უზნეობა იქამდე მივიდა, რომ ნაცვლად იმისა, ბოდიშს უხდიდნენ თანამემამულეებს ემიგრაციაში გაყრისთვის, მათ გამოყენებას აპირებენ თავიანთი ბინძური ზრახვების განსახორციელებლად.

დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის, რომ საქართვე-

ლოდან ისევ უკონტროლოდ გადის ნედლეული?! ვერა და ვერ შევძელით სამენარეო საქმიანობის განვითარება. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მონოპოლიზებულია ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. იგი ხელში უჭირავთ ხელისუფალთ, ან ხელისუფლებებთან დაკავშირებულ მაფიოზებს! ამის გამო კვდება მენარმე, ყვლეფენ მყიდველს.

განა არ ვიცით, რომ მომხმარებელს 3-4 ლარად აძლევენ იმას, რასაც სოფელში 20-30 თეთრად ყიდულობენ? ასეა ყველაფერში. დიახ, ყველაფერი მონოპოლიზებულია და უმცირესობის ხელშია უმრავლესობის საზიანოდ! ნამდვილი მენარმე სულს ლაფავს, ბიზნესმენს საერთოდ, კეთილგანწყობის ყიდვა სჭირდება ხელისუფლებებისგან. ეს მახინჯი სისტემა არათუ სუსტდება, არამედ უმონყალოდ ძლიერდება. როდემდე?!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, რომ ნადგურდება ქართული სოფელი და საქართველოს - ოდიტგან მიწასთან დაკავშირებული ქვეყანას, კვებისთვის საჭირო პროდუქტები უცხოეთიდან შემოჰქონდეს?! რომ ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ გეოგრაფიული, ბუნებრივი, ადამიანური რესურსებისა და ინტელექტის ქვეყანაში, შიმშილის პრობლემა იყოს?! აღარაფერს ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენი ისტორიისა და ტრადიციის ქვეყანაში ამოცანა უნდა იყოს ქართული სოფლის არა უბრალოდ გაძლიერება, არამედ მისი, როგორც დიდი კულტურული ფენომენის აღდგენა-შენარჩუნება.

დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის, რომ უმუშევრობამ არა უბრალოდ გაგვაღატაკა, არამედ სულს უღრღნის უამრავ ადამიანს?! აღარაფერი გვესმის: 1992 წლიდან, ყველა ხელისუფლება გვეუბნება, რომ ქმნის სამუშაო ადგილებს. ზოგი მილიონს, ზოგი მეტს და ზოგიც - ნაკლებს. ამ დროს კი, უმუშევრობა იზრდება, ქვეყანა ხალხისგან იცლება. ისევ სიყალბე! ისევ ტყუილი!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, რომ ნლებია ვერ დავიხსენით თავი პოლიციისა და ჯარის პოლიტიზებისგან?! ხელისუფლებები თავიანთი უცხოელი პატრონების წინაშე

თავს იწონებენ მსოფლიოს ცხელ წერტილებში პრაქტიკულად, სასაკლავოზე ქართველი ჯარისკაცების გაგზავნით.

ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ყველანი კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობაშიც ვართ! აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე. მომავლის საქართველო კი არც ბელადებთან, არც ოლიგარქებთანაა დაკავშირებული - დაკავშირებულია განათლებულ ადამიანთა ხელისუფლებასთან. იმ ხელისუფლებასთან, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება. ჩვენ უკვე კარგად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ქართული სულის ხელისუფლება გაცილებით უკეთ შეიძლება გარე სამყაროსთან ურთიერთობას, ვიდრე გარე ძალთა მსახური ხელისუფლებები.

ჩვენ გვჭირდება ნამდვილი ერთობა. სწორად ასკვნიან ჩვენი მეცნიერები, რომ სასიკეთო ცვლილებების უმოკლეს დროში მიღწევას შესაძლებელი, თუ შეიცვლება მართვის სისტემა, თუ შევიმუშავებთ ისეთ სისტემას, რომელიც ეძებს ძლიერს, ნიჭიერს, კვალიფიციურს, კომპეტენტურს. გვჭირდება სისტემა, რომელიც მხარს უჭერს ძლიერს და იცავს სუსტს. სისტემა, რომელიც ამკვიდრებს ნიჭის ძალაუფლებას!

ჩვენ გვჭირდება სისტემა, რომელიც მოიყვანს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც იმუშავებს ქვეყნის შესაძლებლობის მაქსიმუმზე. მოიყვანს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გადასახადის ამომღები კი არ იქნება, როგორც ეს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მუდმივად გვაქვს, არამედ, ხალხს აქცევს გადამხდელუნარიანად. ყველაფერი ეს შესაძლებელია. ეს წერილიც ამიტომ იქმნება. ამიტომ ჰქვია მას „ხალხის წერილი“.

საქართველოს ბუნებრივად ესადაგება ცნობილი მეცნიერის გამოთქმა: „ქვეყნის ქვაკუთხედი ხალხი და ბრძენკაცნი“. ეს შეერთებაა საჭირო. ჩვენ ეს გვინდა. ჩვენ ამ გზით შევძლებთ ვიცხოვროთ ბედნიერებით სავსე სამშობლოში. ჩვენი დიდი სურვილია, მარტო ხელისუფლებისთვის კი არა, საერთოდ, ჩვენი სამშობლოსთვის, ადამიანი იყოს მიზანი და არა საშუალება.

ჩვენ აქამდე საშუალება ვიყავით, რომ მავანთ და მავანთ

სახელისუფლებო სკამები მიეღოთ და თავიანთი მზაკვრული გეგმები მოეყვანათ მოქმედებაში. ჩვენ აღარ გვინდა, ვიყოთ საშუალება. მაგრამ არც რევოლუციები გვინდა. ჩვენ გვინდა სისტემა და ისეთი ეროვნული ხელისუფლება, რომლისთვისაც ჩვენს სამშობლოში ადამიანი იქნება მიზანი! ამისთვის უნდა კეთდებოდეს ყველაფერი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავისუფლება და პასუხისმგებლობა ერთი და იგივეა. ვეთანხმებით ქართველ მეცნიერებს, რომელთაც ხშირად მოჰყავთ ცნობილი ამერიკელი მწერლის, უილიამ ფოლკნერის გამოთქმა: „ადამიანი თავისუფალია მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში“!

ჩვენ, ვინც ამ წერილს ვაწერთ ხელს, ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე. სწორედ ამიტომ შევუერთდით მეცნიერთა მიერ შემუშავებულ კონცეფციას „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“!

ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიცხოვროთ ცივილიზებულ სახელმწიფოში. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა წინა თაობების, დღევანდელობისა და მომავლის წინაშე, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წინაშე. ამ პასუხისმგებლობით და თანამშრომლობის დიდი სურვილით, ვწერთ და ვაქვეყნებთ ამ წერილსაც. ის ეკუთვნის ყველას, ვინც იზიარებს ამ მოსაზრებებს. ვინც იცის, რომ დუმილი დღეს ღალატის ტოლფასია!

შენიშვნა: წერილზე 2000 მდე ხელმოწერა მიღებულია, ყველა მსურველს შეუძლია შემოუერთდეს, მოგვწეროს თავისი მოსაზრებები. ეს შესაძლებელია ფეისბუქის გვერდზე გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ ფეისბუქის ჯგუფში „მორალური გუნდი“ ვებ.გვერდზე www.civilizebuli.ge

ერთად დავამარცხოთ სიყალბე და კოლიტიკური მაფია!

მეცნიერთა კონგრესი ეროვნული თანხმობისთვის
საქართველოს განვითარების კონცეფცია
„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“!

შესავალი

მეცნიერთა კონგრესი „ეროვნული თანხმობისთვის“: პოზიტიურ მოვლენად მიიჩნევს იდეას „მორალური გუნდის“ შექმნის თაობაზე. მორალს საზღვრები არ აქვს – ნებისმიერი წარმატება, დაკავშირებული პიროვნებასთან, ოჯახთან, ორგანიზაციასთან, მეცნიერებასთან, ბიზნესთან თუ სახელმწიფოსთან, იმდენადაა ღირებული, რამდენადაც ეყრდნობა კაცობრიობის მიერ შემუშავებულ მარადიულ ფასეულობებს. შეუიარაღებელი თვალითაც სჩანს, რომ ყველაზე დიდი შეტევა სწორედ მარადიულ ღირებულებებზე მიდის. დღეს ყველაზე მეტად ნახალისებულია ლალატი, ბეზლობა, გაუტანლობა, მლიქვნელობა... წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია ფარისევლობამ. შედეგად მივიღეთ უმრავლესობაზე ამორალური უმცირესობის ბატონობა. ყველაზე შემაშფოთებელი კი ის არის, წომ სწორედ მორალური ადამიანები გახადეს ამორალური პროცესების მონაწილე.

წყალგამყოფი მორალურსა და ამორალურს შორის, ზედაპირზევე დევს: **ამორალურია** ხედავდე, რომ რაც დრო გადის, მდიდარი უფრო მდიდრდება და ღარიბი უფრო ღატაკდება - შენ კი სდუმდე! **ამორალურია**, მდიდრდებოდე სხვათა გაღარიბება-გაღატაკების ხარჯზე; **ამორალურია** ხმის ყიდვაც და ხმის გაყიდვაც.

ამორალურია, უცქირო უსამართლობას და დუმდე!

ამორალურია, ვითმენდეთ ქვეყანაში პოლიტიკოსთა და მმართველი გუნდების მიერ შემოთავაზებულ ყალბ ეროვნულ პათოსს, დემოკრატიის თამაშს, სოციალურ დემაგოგიას, ელიტარულ კორუფციას.

ღიას, რეალობა მართლაც, მწარეა, უფრო მწარე, ვიდრე ეს დღეს თითოეულ ჩვენთაგანს წარმოგვიდგენია - **სჭარბობს ამორალური**, ჩვენი ისტორიისა და ტრადიციებისადმი, მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური პროცესებისადმი მიუღებელი ქმედებები.

დუმილი დღეს არა მარტო ღირსების, არამედ სახელმწიფოს კვდომის ტოლფასია! თავისუფალია მხოლოდ მორალური ადამიანი, თავისუფლება თავაშვებულობა და ყველაფრის კეთების უფლება კი არა, როგორც ამას ამორალური ადამიანები ამკვიდრებენ, არამედ უპირველესად პასუხისმგებლობაა ოჯახის, ქვეყნისა და ხალხისადმი. სხვათა ინტერესებისადმი პატივისცემაა.

„მორალური გუნდი“ სწორედ იმ ხალხის ერთობაა, ვინც ეს გააცნობიერა და მზად არის მოქმედებისთვის. ეს არ არის რევოლუციისკენ მიმავალი გზა, ეს არის თანამშრომლობის ჰარმონიზაციის გზა. „ხალხის წერილის“ იდეაც ამას ადასტურებს.

„მორალურ გუნდში“ გაჩენილი მოსაზრება „ხალხის წერილის“ თაობაზე, მართლაც, არაორდინარულია და მასშტაბურ გააზრებას საჭიროებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, **„ხალხის წერილში“** შესატანად, 2 000-ზე მეტი წინადადება, სურვილი და მოსაზრება გაჩნდა. პოზიტიურია ის, რომ მოსაზრებები არა მარტო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან, არამედ მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან მივიღეთ – იმ ქვეყნებიდან, სადაც ისტორიულად, ბედის უკულმართობის, თუ საკუთარი და ოჯახის წევრთა სიცოცხლის გადასარჩენად ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულეები!

უძძიმესი გზავნილებია: ეს წერილი მართლაც, **„ხალხის წერილად“** რომ იქცეს, ვფიქრობთ, არ ღირს აჩქარება. უნდა გავაგრძელოთ მასზე მუშაობა, უპირველესად, იმ თვალსაზრისით, რომ თანამემამულეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ის მართლაც, საკუთარ წერილად და ნააზრევად მიიჩნიოს, ხოლო **ხელისუფლება დაფიქრდეს!** ეს წერილი უნდა გახდეს, **ხალხსა და ხელისუფლებებს შორის ჩატყეხილი ხიდის გამთლიანების და გაუცხოების დაძლევის რეალური ნაბიჯების გადადგმის საფუძველი...**

აქსიომაა, ქვეყნის წინსვლა და შენება სწორედ მაშინ იწყება, როცა ხალხი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მის მიერაა, ხოლო ხელისუფლება ვალდებულია ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლებოდეს...

„ხალხის წერილის“ პირველი ვარიანტი ელექტრონულ სივრცეში 19 იანვარს, ნათლისღებას გამოქვეყნდება. 8 თებერვლამდე გაგრძელდება მისი განსჯა-განხილვა, ხოლო, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს, გელათში - გელათის მეცნიერებათა აკადემიის კედლებში მიიღებს საბოლოო სახეს.

განსჯა, განხილვა, დისკუსია რომ კონსტრუქციულ ქრილში წარიმართოს, ჩვენ პოზიციას ორ ნაწილად გავყოფთ. პირველში შევაფასებთ რეალურ მდგომარეობას, მეორეში - შემოგთავაზებთ რამდენიმე კონკრეტულ წინადადებას.

შეფასებითი ნაწილი:

ყველაზე ტრაგიკულია ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ არ მომხდარა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური პროცესების და საგარეო პოლიტიკის მეცნიერული ანალიზი.

დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ რეალური მდგომარეობის სწორი, მეცნიერული ანალიზი არც მმართველ პოლიტიკურ ძალას აწყობს და არც მის ოპოზიციას, რადგან ისინი ქვეყნის გარედან იმართებიან და შესაბამისად, ისინი მეცნიერებასა და მეცნიერულ ანალიზზე წინ აყენებენ უცხოელ პატრონებს.

შეიძლება არ მოგწონდეს კონკრეტული მეცნიერი, თუნდაც კონკრეტული სამეცნიერო დაწესებულება, მაგრამ იგნორირება გაუკეთო საერთოდ მეცნიერებას, თან ისეთი, როგორიც დღეს რეალურად გვაქვს, ეს არათუ დანაშაული, არამედ რეალური ბრძოლაა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ.

არადა, ეს მაშინ, როცა ადგილზეც გვყავს და საზღვარგარეთაც მოღვაწეობენ მსოფლიო დონის ქართველი მეცნიერები. მთელ მსოფლიოშია აღიარებული იოანე პეტრიწის ფილოსოფიური, ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური მემკვიდრეობა, დიმიტრი

უზნადის განწყობის თეორია, **ილია ჭავჭავაძის** ეროვნული მემკვიდრეობა, რომელშიც თავმოყრილია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის 3500 წლოვანი გამოცდილება.

სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკოსები საქართველოში აგდებულად უყურებენ იმას, რასაც დემოკრატიულ (და არა მარტო) სახელმწიფოებში განვითარების საყრდენად მიიჩნევენ!

სწორედ ამის შედეგია, რომ საქართველო გადაიქცა ფსევდო-ლიბერალიზმის მქადაგებელი კოსმოპოლიტი პოლიტიკოსებისა და ურაპატრიოტების ბრძოლის ასპარეზად. ერთიც და მეორეც გარედან ფინანსდება და ორივენი წარმატებულად ებრძვიან საქვეყნოდ მომართულ პროგრესულ ძალებს. ჩვენთვის, ოდნავადაც არ არის საკამათო, რომ ურაპატრიოტიზმი ისეთივე დამანგრეველია, როგორც ულტრალიბერალიზმი და კოსმოპოლიტიზმი.

ასევე, საკამათო არ არის, რომ დღემდე საქართველოში ის პოლიტიკური ძალები მოდიან ხელისუფლების სათავეში, რომლებიც სიყალბეს რეალობის მანტიიაში ახვევენ და ამით ახერხებენ ხალხის მოტყუებასაც.

რეალობა კი ასეთია: დღემდე საქართველოში იმარჯვებენ ასეთი პარტიები, ხალხი კი, მუდმივად დამარცხებულია.

ხალხი დარწმუნდა იმაში, რომ ყველა ხელისუფლებამ რაც დაპირდა, იმის საწინააღმდეგო გააკეთა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიის საყრდენი მთავარი ძალა – საშუალო ფენა, აღზევდა გარედან მართულ მდიდართა ფენა, რომელთაც არ უჭირთ ღარიბ-ღატაკი უმრავლესობის მოსყიდვა!

შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში, ხალხისა და ქვეყნისადმი ხელისუფლების პასუხისმგებლობა ნულს უტოლდება: თანამდებობის მოპოვების მთავარ კრიტერიუმად მლიქვნელობა იქცა, სოციალური დემაგოგია ყოველგვარ დასაშვებ საზღვრებს გადაცდა, წახალისებულია მოღალატეობა: პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობა - იყიდებიან პარტიები, პოლიტიკოსები, მასმედია (განსაკუთრე-

ბით ნეგატიურ როლს ასრულებენ ტელევიზიები)... პრაქტიკულად პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქაში ვცხოვრობთ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, მომავალი არ აქვს ქვეყანას:

- სადაც ქვეყნის უკეთესო მომავლისთვის ბრძოლა შეცვლილია ტელევიზიებისთვის ბრძოლით, სადაც სატელევიზიო საინფორმაციო სივრცე მონოპოლიზებულია გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების თუ პოლიტიკური მიზნების მქონე ოლიგარქთა მიერ, სადაც ებრძვიან ყოველგვარ ქართულს (ყველა მისაღები თუ მიუღებელი მეთოდით), სადაც ყველაფერი ემსახურება მხოლოდ დამფინანსებლის ინტერესებს – ხალხისა და ქვეყნის ინტერესების საზიანოდ...

- სადაც ქვეყნის მთავარი კაპიტალი უზნეო მდიდართა ხელშია:

- სადაც ხალხს ლამაზი ტყუილი ურჩევნია მწარე სიმართლეს...

- სადაც მიზეზთა გამო, დუმს ინტელიგენცია, მასობრივი შეტევა მიდის მარადიულ ღირებულებებზე – რწმენაზე, ოჯახზე, ტრადიციებზე, სინმინდეზე, სიყვარულზე ...

- სადაც ახალგაზრდობა ეგუება წინაპართა ასეთ ლანძღვა-გინებას, მათ განამებულ ცხოვრებას და საკუთარ უპერსპექტივო გარემოს...

- სადაც ხელისუფლების და საერთოდ, პოლიტიკური ძალების მიერ იგნორირებულია მეცნიერება და მეცნიერები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, იყვნენ ხელისუფლების მთავარი ოპონენტები...

დაბეჯითებით ვამბობთ: საქართველოს ყველა რესურსი აქვს, იყოს წარმატებული ქვეყანა – ჩვენ ჯერ კიდევ უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი გვაქვს ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იგივე ითქმის ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ გეოგრაფიული რესურსზე. ამის დასტური ჩვენი ისტორიაა, ამის დასტური ის შეფასებებია, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული

ექსპერტები და მეცნიერები ამბობენ, ამის დასტურია ის შემაშინებელი ლტოლვა საქართველოსკენ, რომელიც აქვთ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებს.

სად არის ბოროტების სათავე? სამწუხაროა ის, რომ ქვეყანაში, რომელსაც ყველა პირობა აქვს იყოს წარმატებული, მართვის სისტემა ავადმყოფი.

მარტივი ანალიზი: ხელისუფლებები იცვლებიან, პრაქტიკულად რევოლუციური, თუ მასთან მიახლოებული გზით. მდგომარეობა არ იცვლება, უფრო მეტიც, ხალხში მყარადაა აზრი, რომ ყოველი პარლამენტი თუ მთავრობა წინამორბედზე არათუ უკეთესი, უმეტესწილად, უარესია. ეს არის იმის შედეგი, რომ ვერც ერთმა ვერ შეძლო მართვის სისტემის შეცვლა, ვერც ერთმა ვერ შეძლო სისტემური ცვლილებების განხორციელება. ყველა ე.წ. „რეფორმა“, საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. ხალხი მიიჩნევს, რომ ქვეყნის გადარჩენა არც ბელადთან და არც მილიარდერთან არ არის დაკავშირებული, რომ ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით შედგენილი პარლამენტები და მთავრობები არათუ შედეგს გვაძლევს, არამედ, ქართული ტრადიციებისა და სულიერების დამანგრეველიც კი გახდა. რომ მომავლის საქართველო მხოლოდ განათლებულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, თავგანწირულ ადამიანთა ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული.

მართვაში უნდა ვეძებოთ ის პრობლემები, რომელმაც აქამდე მიიყვანა ქვეყანა. დანყებული მწვავე სოციალური მდგომარეობით, გათავზებული საბანკო სისტემით, დამთავრებული პოლიტიკური მაფიით, სადაც მყარად შეერთდნენ ოლიგარქები, ფარისეველი პოლიტიკოსები, სახელისუფლებო კარის ინტელიგენცია! ასეთი პოლიტიკის გამოა, რომ ხელისუფლებაში მოსვლას გაურბიან მორალური და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები.

აქედან გამომდინარე სამწუხაროა, რომ ქვეყანაში, რომელსაც ყველა პირობა აქვს, იყოს წარმატებული, მართვის სისტემა ავადმყოფია - იგი ებრძვის ზნეობრივს, კომპეტენტურს. ახალისებს მონური ფსიქოლოგიის მედროვეებსა და კარიერისტებს! სწორედ ამის შედეგია, რომ ქვეყანამ პრაქტიკულად დაკარგა

ეკონომიკური (და არა მარტო) დამოუკიდებლობა, სამუშაო ადგილები ჯვართად, საქართველო კი უცხოური პროდუქციის ბაზრად იქცა... ქვეყნის გარეთ, ძირითადად, ნედლეული გაგვაქვს, ქვეყნის გარედან – მზა პროდუქცია შემოგვაქვს. მეტიც, უცხოეთის ქვეყნებში მონური შრომისთვის გავწირეთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

პარადოქსია: დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ყველა ხელისუფლება ტრაბახობდა, რომ ჩვენი ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია, თუ ეს ასეა, რაც დრო გადის, ხალხი რატომ ცხოვრობს უარესად – ღარიბი კიდევ უფრო მეტად რატომ ღარიბდება, ხოლო მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება?!

ნახეთ, რით იწყებს თავის მოღვაწეობას აშშ თითქმის ყველა პრეზიდენტი: ისინი მიდიან მეცნიერებათა აკადემიაში, იწყებენ კონსულტაციებს მეცნიერებთან, მათი მონაწილეობით ქმნიან კომისიებს ამერიკის ბაზრის ადგილობრივი პროდუქციით დატვირთვა-გაფერების და ქვეყნის გარეთაც ამერიკული პროდუქციის გატანის საგრძნობი გაზრდის, საშუალო ფენის გაძლიერების მიზნით.

დიახ, ამას აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენ კი, მსგავსი ნაბიჯების გადადგმის გვეშინია. ამის შედეგია, რომ არ გვაქვს რეალური ეკონომიკა – ხელისუფლებებმა მოკლეს მწარმოებლური სფერო: გაგვაქვს ნედლეული და იმპორტი ექსპორტს რამდენჯერმე აჭარბებს. ფაქტია ისიც, რომ საქართველო არის ველური საბანკო სისტემის ტყვე!

ვფიქრობთ, ზემოჩამოთვლილი პრობლემა უსერიოზულესია, მაგრამ ის, რაც წლების განმავლობაში, განათლებასა და კულტურაში ხდება, ამაზე ანტიქართულის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. გაუფასურებულია ეროვნული დიპლომი, სტუდენტობისა და ახალგაზრდობის პრობლემები თვითდინებაზეა მიშვებული. დაუფერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთის ბევრ ქვეყანაში უფასოდ სწავლობენ, მაშინ როცა საკუთარ ქვეყანაში, დღითიდღე იზრდება სწავლის გადასახადი, როცა მისი გადაუხდელობის გამო, უკვე ათიათასობით სტუდე-

ნტს შეჩერებული აქვს სწავლის უფლება!

ვფიქრობთ, მდგომარეობა კიდევ უფრო რომ არ გამძაფრდეს, არსებულ ხელისუფლებას გვერდით დგომა და დახმარება სჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, მისგან ამის პოლიტიკური ნება იქნება! ხელისუფლების მხრივ იმის აღიარება, რომ მას დახმარება სჭირდება, სულაც არ არის სისუსტის ნიშანი – სისუსტე ამაზე უარის თქმაა...

კიდევ ორი პრინციპული საკითხი:

პირველი – საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირების რეჟიმში ცხოვრობს. არადა, ჩვენ ყველანი ვართ პასუხისმგებელი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე და პასუხისმგებლობა გვეკისრება მომავალზე. ოპოზიციაში ყოფნა უპირველესად იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას შეცდომები არ ჩაადენინო. ეს დიდი პოლიტიკური კულტურაა, რომლის გარეშეც მომავალი არ გვექნება. სწორედ ამიტომაა დასაწყები სერიოზული დიალოგი, სწორედ ამიტომაა საჭირო ქვეყნის მომავალზე ღია დიალოგის დაწყება.

მეორე – ჩვენ ვთვლით, რომ დღეს პარტიების გაფეტიშების დრო არ არის. ჩვენ მომავლის საქართველოს მთავარ საყრდენად არა პარტიები, არამედ მეცნიერება და მოაზროვნე ადამიანები მიგვაჩნია და მთავარ ოპოზიციურ ძალად კი, ხალხი.

დღეს, როცა ერთ პოლიტიკურ ძალას აქვს კონსტიტუციური უმრავლესობა, სწორედ მეცნიერებმა და მოაზროვნე ადამიანებმა არ უნდა დაუშვან ხელისუფლების მხრივ ძალაუფლების უზურპირება!

ვფიქრობთ: საქართველოს ისტორიაში დადგა ეტაპი, როცა ხალხიც და ხელისუფლებაც მეცნიერებას, მოაზროვნე ადამიანებს უნდა დაეყრდნონ.

საქართველოს ნამდვილად არა აქვს ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა, მაგრამ ისინი რომ ხელისუფლებისა და პარტიებისგან იგნორირებულნი არიან, ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ ნიჭიერი ადამიანები გაურბიან პოლიტიკას და ამის გამო, პოლიტიკაში ნიჭისა და ზნეობის დეფიციტია. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ

გვეპარება, რომ მეცნიერები, ოდითგან გამორჩეული ქართული ინტელიგენცია, წარმატებით გაუძლებს ამ დიდ გამოცდას!

პროგრამული ნაწილი

საჭიროა თანამშრომლობის ჰარმონიზაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა დაიწყოთ აკადემიური, მშვიდი და წყნარი დიალოგი საქართველოს მომავალთან დაკავშირებით.

დიალოგის ინიციატივა ხალხისგან უნდა წამოვიდეს. ინტელიგენციის მორალურმა ნაწილმა პროცესის წარმართვა უნდა ითავოს. სწორედ ამის ინიცირებას აკეთებს „მორალური გუნდი“. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ მხარი დაუჭიროს ამ წამოწყებას და წამოვიდეს დიალოგზე. სწორედ დიალოგმა უნდა გააერთიანოს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მცხოვრები ქართველები. ეს პრინციპული საკითხია.

ჩვენ უკადრებელი ვაკადრეთ ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს - სამწუხაროდ, მათ არჩევნებში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებაც კი წავართვათ; არაფერს ვაკეთებთ მათ დასაბრუნებლად სამშობლოში; სამწუხაროდ მათ ინტერესებს ვერ ვიცავთ იმ სახელმწიფოებში, სადაც ისინი წლებია ცხოვრობენ ლეგალურად თუ არალეგალურად და უმძიმეს პირობებში აგრძელებენ მუშაობას.

● **უპირველესი და უმთავრესია, შეიცვალოს ქვეყნის მართვის მეთოდი.** ამ ცვლილებას საფუძვლად უნდა დაედოს დემოკრატიული კაცობრიობის მიერ აღიარებული და დამკვიდრებული პრინციპი: **ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.**

● **შემუშავდეს საქართველოს განვითარების პროგრამის კონცეფცია.** საუბარია ინოვაციური განვითარების სტრატეგიის უნიკალური დოკუმენტის შექმნაზე, მასში მკაფიოდ და გასაგებად უნდა ჩამოყალიბდეს:

- **ნაციონალური იდეა;**
- **ეროვნული მიზანი;**

● **საქართველოს მისია.**

● ვიფიქროთ ისეთ კონსტიტუციაზე, რომელიც განთავისუფლდება პარტიული პრინციპებისგან და იქნება ხალხის ინტერესების გამომხატველი;

● ღია, მართალი, კომპეტენტური დიალოგის თანმდევი უნდა იყოს სახელმწიფო დონეზე ძლიერი ჯგუფის (ეს ჯგუფი შეიძლება მოქმედებდეს მეცნიერებათა აკადემიის პატრონაჟით) შექმნა. ამ ჯგუფმა უნდა შეძლოს სამი რამ:

პირველი – შეისწავლოს ქვეყნის პოტენციალი – მოახდინოს ქვეყნის სრული ინვენტარიზაცია: ვიცოდეთ, რას ვფლობთ და რისი გაკეთება შეიძლება.

მეორე – გააკეთოს დღევანდელი მდგომარეობის მიუკერძოებელი, ღრმა, უალრესად კომპეტენტური ანალიზი.

მესამე – შეადგინოს კონკრეტული, რეალისტური პროგრამა, რომელმაც უნდა შეძლოს რეალურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში მისი პოტენციალის მოქმედებაში მოყვანა.

● **კარგად გავიაზროთ დემოკრატიის არსი..**უნდა დავამსხვრიოთ პოლიტიკოსთა მიერ შემოგდებული მითი,რომ დემოკრატია არის არჩევნები..დემოკრატია ეს არის არჩევანის თავისუფლება ყველგან და ყველაფერში...დემოკრატიულია ქვეყანა, რომელშიც მართვის სისტემაა დემოკრატიული – ქვეყანას მართავს არა ბიუროკრატიული,პოლიციური და სამხედრო,არამედ, ინტელექტუალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტა, სადაც დეცენტრალიზებულია საფინანსო სისტემა,ეკონომიკა,სადაც ძალაუფლება განაწილებულია სახელისუფლებო შტოებს შორის,სადაც სერიოზული უფლებები აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას,სადაც დაცულია ადამიანის უფლებები – **ადამიანები იბრძვიან არა არსებობისთვის, არამედ, საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციისთვის და ამისთვის აქვთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება და არა ფულის!**

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ:

პირველი - ქვეყანაში უნდა არსებობდეს პოლიტიკოსთა და

პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის შეფასების მყარი კრიტერიუმი.

მეორე - უნდა არსებობდეს პოლიტიკოსად აღიარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა, მას საფუძვლად უნდა დაედოს პიროვნების რეპუტაცია.

მესამე - მიგვაჩნია, რომ ყველა ხელისუფლებაში იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები. არიან დღევანდელ მთავრობაშიც. ჩვენი ამოცანაა, ასეთი ადამიანების პოლიტიკურ სივრცეში შენარჩუნება. კარგი იქნება, თუ დავუბრუნდებით პირველი პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) წევრთა ჯგუფის მიმართვას და შევქმნით საპარლამენტაშორისო ასამბლეას 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდგომ არჩეული ყველა პარლამენტის წევრთა მონაწილეობით.

მეოთხე - ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი. მომავალი არ აქვს მხოლოდ ახალგაზრდული ასაკის გამო თანამდებობაზე დანიშვნას. ამის გამო, ძალიან ბევრი საინტერესო და სამომავლოდ მომართული ახალგაზრდა დაკარგა ქართულმა პოლიტიკამ. დემოკრატიულ ქვეყნებში, ჩვეულებრივი მოვლენაა ხელისუფლებები 60 წელს გადაცილებულთა შემადგენლობით და იშვიათობაა 30-35 წლამდე ახალგაზრდები. საქართველოში პირიქითაა.

მეხუთე - საქართველოში უმწვავესად დგას ობიექტური ტელევიზიის პრობლემა. დემოკრატიულმა მსოფლიომ არ იცის არც სახელისუფლებო ტელევიზია და არც ოპოზიციური. ხალხის მთავარი მოთხოვნა ობიექტურ ტელევიზიაზეა. მიუხედავად არაერთი განაცხადისა და მცდელობისა, ვერ მოხერხდა სახალხო ტელევიზიის, ანუ ხალხის მსახური ტელევიზიის შექმნა. ჩვენ ვმუშაობთ სახალხო ტელევიზიის კონცეფციაზე, რომელსაც გამოვიტანთ საერთო-სახალხო სამსჯავროზე. შეურაცხმყოფელია, როცა ხალხის ფულით, პირდაპირ ვთქვათ, ბიუჯეტიდან მილიონებით დაფინანსებული ტელევიზიაც კი, გარკვეული ძალების მსახურია და არა ხალხის.

ნიშნდობლივია, რომ კონსტიტუციაც პარტიულ ინტერესებს

უფრო გამოხატავს, ვიდრე ეროვნულ-სახელმწიფოებრივს. ხალხს ლამის სამოთხედ წარმოუსახეს საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტოზე, მაჟორიტარულიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.

სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს კონკრეტული პიროვნებები თუ პარლამენტები კი არა, ხალხი უნდა წყვეტდეს რეფერენდუმის გზით.

- ჩვენ კარგად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ როგორი საგარეო პოლიტიკა გვინდა – მონური და მორჩილი, როგორც 200 წლის განმავლობაში და გრძელდება დღესაც, თუ ისეთი, როცა საქართველო არის არა გარე სახელმწიფოთა დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის სუბიექტი და ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ქართული ინტერესი..

- ჩვენ უნდა რეალობად ვაქციოთ ჩვენი სულიერი მამის, უწმიდესისა და უნეტარესის ქადაგება სახელმწიფო კაცების ქვეყნის მართვაში ჩართვის თაობაზე და შევქმნათ „სახელმწიფო კაცების საკრებულო“... ერთად ვიფიქროთ იმაზე, ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფო კაცების საკრებულოში;

- შევქმნათ სისტემა: “პიროვნებათა პარლამენტი” და დავინყოთ მუშაობა, საქართველოს ისტორიაში პირველად გავხადოთ შესაძლებელი, საარჩევნო საპარლამენტო სია შეადგინოს არა ოლიგარქმა, მილიარდერმა, გამოგონილმა ბელადმა, არამედ ხალხმა და ეს მოხდეს არა იმიჯმაიკერების მიერ, არამედ პიროვნების რეპუტაციის გათვალისწინებით!

- ჩვენ ვთვლით, რომ კანონების მიღების დროს, უნდა ვითვალისწინებდეთ არა იმას, რას გვახვევენ თავს გარედან, არამედ იმას, რაც იცავს და განავითარებს ჩვენს ტრადიციებს, არ მოდის წინააღმდეგობაში ჩვენი ძმების, აფხაზებისა და ოსების განწყობებთან, არ უპირისპირდება კავკასიაში თანაცხოვრების პრინციპებს.

- მოქმედებაში მოვიყვანოთ ახალგაზრდული პროგრამა - “თაობათა ერთიანობა.”

- ჩვენ ასევე პრინციპულად მოვითხოვთ პრემიერ-მინისტრთან „დიასპორის საბჭოს“ შექმნას და ღია დიალოგს მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში ისტორიულად თუ ბედის უკუღმართობის გამო მცხოვრებ ქართველებთან. მეტიც, ჩვენი პრინციპული პოზიციაა, ევროპის გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ქვეყნებში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი წარმომადგენლები აირჩიონ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

- უმნიშვნელოვანესია „ქართული ერთობის დარბაზის“, ბატონების მერაბ ბერძენიშვილის, რეზო ჩხეიძის და ცნობილი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ინიციატივა „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“ გამართვის თაობაზე. დღევანდელი საქართველოსთვის, სწორი იქნება ამ დიდი ფორუმის ორ ეტაპად ჩატარება კონგრესის სესიები მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის 85 ქალაქსა და საქართველოს ყველა რეგიონში და მისი დასრულება ეროვნული ყრილობით 2020 წლის შემოდგომაზე. ყრილობამ უნდა მიიღოს მომავლის საქართველოს პროგრამა, აირჩიოს სახელმწიფო კაცების საკრებულო... ყრილობა უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კანონმდებლობის ისეთი ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარებას.

- ჩვენ უმნიშვნელოვანესად ვთვლით სამართლიანობის დამკვიდრების საკითხს. ძალიან კარგია, როცა გააქტიურდა მუშაობა ცალკეულ პიროვნებებისთვის წართმეული ქონების დაბრუნების თვალსაზრისით. ეს უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: სახელმწიფოს აღიარებული აქვს ვალი საკუთარი მოქალაქეებისადმი. ეს ძირითადში ის ფულია, რომელიც მოსახლეობას ბანკებში ჰქონდა შეტანილი და სხვადასხვა მიზეზთა გამო, დაკარგა. მისი დაბრუნება დაინყო გასული საუკუნის ბოლოს და 2000 წლის შემდგომ პრაქტიკულად, შეჩერებულია. დანაშაულია, როცა შენ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს არ პატიობ ერთ თეთრს და არ გრძნობ პასუხისმგებლობას, რომ

იგივე ხალხს შენგან, სახელმწიფოსგან ერგება ფული! ეს უნდა გამოსწორდეს.

ვფიქრობთ, უნდა დაინყოს მოსახლეობისთვის ვალის დაბრუნება – მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს იმ თანხის ეკვივალენტი ლარებში, რამდენი დოლარიც იყო თანხის მოცულობა ბანკში შეტანის მომენტში.

● იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დიდი ნაწილი უცხოურ პროდუქციას უჭირავს – მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაინყოს დიდი მოძრაობა:

აწარმოე - იყიდე - ნაახალისე, მხოლოდ ნატურალური!

ანუ, მენარმემ მხოლოდ ასეთი უნდა აწარმოოს, ხელისუფლებამ არნახულად უნდა ნაახალისოს, როგორც ნატურალური პროდუქტის მწარმოებელი, ასევე მისი შემომტანი... ჩვენ ვითხოვთ, იმდენად დიდი იყოს გადასახადი არანატურალურ პროდუქტზე, რომ არავის ჰქონდეს მისი არც წარმოების და არც შემოტანის სურვილი. ეს არის გზა, როგორც ერის გამოჯანმრთელების, ასევე ტურიზმისათვის საქართველოს მიმზიდველობის გაზრდის.

ჩვენ ამ საკითხს ვაკავშირებთ ვალების დაბრუნებასთან და ვთვლით, რომ სახელმწიფომ პირველ რიგში, ვალი დაუბრუნოს სწორედ იმ პიროვნებებს, რომელთაც ექნებათ ნატურალური პროდუქტების წარმოების პროგრამა. ეს პრაქტიკულად, საქართველოს ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიცია იქნება, რომლის შედეგადაც საქართველოს ბიუჯეტში შემოსული თანხის დიდი ნაწილი უნდა წავიდეს როგორც ვალების დაბრუნებაზე, ასევე იმ ფონდში, რომელიც უნდა შეიქმნას უცხოეთში წასული თანამემამულეების დასაბრუნებლად. ეს ფონდიც ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს პროექტი ბევრ ჩვენს თანამემამულეს დაუბრუნებს ქვეყანას და ოჯახს.

ეს გრანდიოზული ეკონომიკური პროექტია. ჩვენ მზად ვართ, ამ საკითხზე ხელისუფლებას მისი სურვილის შემთხვევაში წარვუდგინოთ საკუთარი პროგრამა.

რეზიუმე

ხელისუფლებების მიერ მეცნიერების უგულვებლყოფამ, განათლების სისტემის დაკნინებამ, სასამართლო სისტემის მოშლამ, ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლამ, ყველგან და ყველაფერში გააძლიერა სიყალბე, ხელი შეუწყო ფსევდოძაღვების მოძალებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოლიტიკოსებში, პოლიტიკურ პარტიებში, ხელისუფლებაში ზოგადად, გამეფებული ყალბი ეროვნული პათოსი. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მათ ხალხშიც აქვთ მოწონება და მხარდაჭერა. ებრძვიან უცხოტომელთა მომრავლებას საქართველოში, რაც ერთი შეხედვით თითქოს ეროვნულია და ამაში არაფერია ცუდი. მაგრამ არ გვაქვს მეცნიერულად გააზრებული პროგრამა, რომ ჩვენი თანამემამულეები ქვეყნის გარეთ არ მიდიოდნენ და გარეთ წასულნი უკან ბრუნდებოდნენ. ჩვენ დღემდე ვერ შევძელით დემოგრაფიული პოლიტიკის სწორი გააზრება. გაერომ ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაში შეიტანა. პრაქტიკულად, ამ სიის სათავეში ვართ, ჩვენ კი ვდუმვართ.

მეცნიერთა პოზიცია მყარია: მივხედოთ განათლების სისტემას, იგი კონსტიტუციურადაც უნდა იყოს აღიარებული პრიორიტეტად... მივხედოთ ეკონომიკას, ადამიანებს მივცეთ საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციის პირობები...

ასეთი პროგრამის შედგენის მცდელობა ჰქონდათ წლების წინ, ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების: „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“, თავისუფალი აზრის სახლი“ ქართული ერთობის დარბაზი“ დაარსებით და „მოქმედების მანიფესტი“ შედგენით. ამ პროცესს მაშინდელმა და შემდგომმა ყველა ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა.

ჩვენ ვთვლით, რომ მსგავსი ინსტიტუტები დღეს ჰაერივით სჭირდება საქართველოს. ჩვენ ვთვლით, რომ დიდი ქართველი მოღვაწეების: მერაბ ბერძენიშვილის, რეზო ჩხეიძის, ანზორ ერქომაიშვილის, რომან რურუას, გივი თოიძის, ტარიელ ხარხელაურის, არნოლდ გეგეჭკორის, ომარ მხეიძის, თემურ გუგუშვილის,

გიგა ბათიაშვილის, რამაზ ყურაშვილის მიერ ხელმოწერილი და მოსახლეობის დიდ ნაწილში მხარდაჭერილი „მოქმედების მანიფესტი – ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, – ხელისუფლებამ სერიოზული განხილვის საგნად აქციოს. მეცნიერთა საერთო აღიარებით, ეს დოკუმენტი ბოლო პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეულად ეროვნული დოკუმენტია, რომელშიც კარგად არის ერთმანეთთან დაკავშირებული ეროვნული და ზოგადკაცობრიული, ანუ ის, თუ როგორ დავიცვათ ეროვნული თვითმყოფადობა უმძიმესი გლობალიზაციის პირობებში.

სწორედ ამ ინსტიტუტების და ამ სახელმწიფო კაცების დიდი მცდელობის შედეგია, მეცნიერთა მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების კონცეფცია: „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“!

ჩვენი აზრით, ეს არის ქუჩის აგრესიული პოლიტიკის დასრულებისა და პოლიტიკაში გონების დაბრუნების, ამ ეტაპზე ქვეყნისთვის უპირველესად საჭირო მოვლენის – პოლიტიკის ინტელექტუალური რადიკალიზაციის კონცეფცია, რომლის საფუძველია თანამშრომლობის ჰარმონიზაცია, დღევანდელი დამანგრეველი დაპირისპირების დასასრულებლად.

ამ კონცეფციის შესრულების უმთავრესი წინაპირობაა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა. ხალხში ეს განწყობა არის, კონცეფცია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და მის მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიქმნა.

სწორედ ამ კონცეფციის ირგვლივ იკრიბება „მორალური გუნდი“. ეს პროცესი ღია და თავისუფალია და მასში ნებისმიერი შეიძლება ჩაერთოს. მონაწილეობისთვის აუცილებელია გავეცნოთ კონცეფციას “გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ!” მისი აღიარების შემთხვევაში კი, გავხდეთ ამავე სახელწოდების ფენისბუკის გვერდის წევრი.

ქვეყანაში შექმნილი უმწვავესი მდგომარეობის გამო, ჩვენ

ვჭირდებით ერთმანეთს, მხოლოდ ჩვენი ერთობა გადაარჩენს საქართველოს!

ასეთია ჩვენი მოსაზრებები სერიოზული დისკუსიის დაწყების, ხელისუფლებისადმი „ხალხის წერილის“ შექმნის წინ. ვმუშაობთ პროგრამის – „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“, სრულყოფაზე. მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველა დაინტერესებულ ორგანოსთან, ჯგუფთან, პიროვნებასთან, პარტიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან, საინფორმაციო საშუალებებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სტრუქტურებთან. მიმდინარე წლის ბოლო დღეებში, შეიკრიბება მეცნიერთა კონგრესის ხელმძღვანელი ბირთვი. წარმოვადგენთ ამ დოკუმენტს საბოლოო სახით და კონგრესის ჩატარების პროგრამას, რომელსაც მომდევნო წლის პირველ კვარტალში ვგეგმავთ.

სიყვარული აღგვამაღლებს!
მოქმედების დროა!

მეცნიერთა კონგრესი – ეროვნული თანხმობისთვის
26 დეკემბერი, 2018 წელი

P.S. დაინტერესებულ პირებს მეცნიერთა მიერ შემუშავებული საქართველოს განვითარების კონცეფციის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ უფასოდ მიღება შეუძლიათ ამავე სახელწოდების ოფისში მისამართზე: კოსტავას 6 (მეტროსადგურ „რუსთაველთან“) II სართ. ტელ.: 299 96 56

ელექტრონული ვერსიის ნახვა შესაძლებელია ფეისბუქის გვერდზე “გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ”.

*„მე შორს იმიტომ ვიხედები, რომ
გიგანტების მხრებზე ვდგავარ“*

ნიუტონი

„სახელმწიფო კაცების“ საკრებულო

ეს ახალი მოსაზრება არ არის. რეფრენად გამოტანილი ისა-აკ ნიუტონის გამოთქმა არათუ ადასტურებს, არამედ აუცი-ლებელსაც კი ხდის მას დღევანდელი საქართველოსთვის. გა-ვიხსენოთ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ ხალხს ქვეყნის საზო-მადაც კი იყენებდა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ სახელ-მწიფო კაცებისადმი კეთილგანწყობა ხალხში - საქართველოს ისტორიული გამოცდილებაა. მსოფლიოს და საერთოდ, წარმა-ტებული ქვეყნების პოლიტიკაც ამას ადასტურებს - ყველგან პატივით ეკიდებიან მაღალპროფესიონალს მიუხედავად ასა-კისა, გამოცდილებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და პა-რტიული კუთვნილებისა. დავით აღმაშენებელი და მისი პოლი-ტიკაა სწორედ ამის მაგალითი - სასულიერო პირი მთავრობის თავმჯდომარედ მოიყვანა და თვითონ, ახალგაზრდამ, ქვეყნის მმართველი გუნდი ბრძენკაცებისგან შექმნა.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, თამარ მეფის მიერ შექ-მნილი დარბაზი ამის დიდი მაგალითია და ლამის მსოფლიო პარლამენტარიზმის საწყისი. მხცოვანი სულხან-საბა დიპლო-მატიაში ჰყავდათ ჩართული ახალგაზრდა მმართველებს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-VII საუკუნეში, საბერძ-ნეთში ხალხსა და დიდგვაროვანთა შორის უკიდურესად დაძა-ბულ ურთიერთობაში ხიდის როლი შეასრულა ათენელმა რე-ფორმატორმა სოლონმა. ხალხმა, ვიმეორებთ, ხალხმა სოლონს არისტოკრატისა და ხალხს შორის შუამავლის როლი მიანიჭა. სოლონმა შექმნა ოთხასთა საბჭო და ამით არისტოკრატის საყრდენი შეარყია. იგი მიხვდა, რომ სახელმწიფო, უპირველეს შიგნიდან ინგრევა და ეს ნგრევა უკიდურესად გამდიდრებულ

და უღარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამწვავებით იწყება. ვფიქრობთ, სათქმელი ითქვა. დღევანდელი საქართველო სწორედ აქეთკენ მიექანება!

ვნახოთ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება. შექმნილია პრეზიდენტთა საბჭო. ყველა ყოფილი მინისტრი, სენატორი თუ გუბერნატორი, აქტიურ პოლიტიკაშია. ეს, როგორც გამოცდილებისადმი პატივისცემა, ჩამოყალიბდა არა მარტო როგორც დიდი პოლიტიკური კულტურა, არამედ იმ ქვეყნების წარმატების მთავარი საყრდენი, სადაც თაყვანისცემაა გამოცდილებისა და გამოცდილი ადამიანისადმი.

საქართველოსთვის ეს განსაკუთრებულია. ჯერ ერთი, ეს ჩვენი ისტორიაა, მეორეც - კავკასია უფროსისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემით გამოირჩევა დღესაც; მესამე - მსოფლიო პოლიტიკას ასაკოვანი და გამოცდილი ადამიანები წარმართავენ. დააკვირდით წარმატებული ქვეყნების პრეზიდენტებს, სახელმწიფო მეთაურებს, პარლამენტებს. იშვიათობაა 40 წლამდე ასაკის პოლიტიკოსი.

ჩვენთვის დამანგრეველი აღმოჩნდა წინა ხელისუფლებების მიერ შემოთავაზებული ასაკობრივი გრადაცია. კარგად აღნიშნეს ახალგაზრდებმა: ხელისუფლება და საერთოდ, ნებისმიერი თანამდებობა აზროვნებაა და არა ასაკი. ჩვენ საპირისპირო გზით წავედით. მთელ მსოფლიოში, ამის მაგალითია აშშ და ევროპის წამყვანი ქვეყნები, ყოველ ოჯახშიც კი ძლიერდება უფროსისადმი პატივისცემა, ანუ ის, რაც ოდითგან და ტრადიციულად საქართველოში, ყოველ ქართულ ოჯახში ფასეული იყო. სამწუხაროდ, ჩვენ ვკარგავთ იმას, რისკენაც მსოფლიოს წარმატებული ქვეყნები მიილტვიან: პატივისცემა უფროსისადმი, დაფასება გამოცდილებას, პროფესიონალიზმს, ოჯახიშვილობას... ოჯახიშვილობა ყველაზე დიდ აკადემიად ითვლებოდა და ითვლება ქართული სულისა და ქართული ცნობიერების ადამიანებში და იგი მსოფლიო გამოცდილება ხდება. ოჯახიშვილობა - დიდი ფასეულობაა.

სულხან-საბა ორბელიანის განათლებით მოხიბლულმა ლუი მეთოთხმეტემ გაკვირვებით ჰკითხა დიდ მგოსანს: ვიცი სორბონა, ვიცი განათლების მსოფლიო ცენტრები, მაგრამ თქვენ სად მიიღეთ ეს განათლებაო. სულხან-საბამ უპასუხა: გლენის სკოლა დავამთავრე და ქართული სუფრის ინსტიტუტით.

ჩვენ ამ მაგალითების პროპაგანდა გეჭირდება და ეს მსოფლიო კონგრესის ერთი დიდი ნაწილი უნდა იყოს. დიდი მაგალითი მოგვცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მასთან შეხვედრისას. მან ბრძანა: არა მარტო ჩვენთან, სამწუხაროდ მსოფლიოში მიდის ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა და ეს ხდება შეგნებულად, რომ ხალხს არ ჰყავდეთ ნამდვილი ავტორიტეტები, ყალბები კი ადვილად სამართავები გახდნენ!

ეს თანამედროვეობის უდიდესი პრობლემაა. ჩვენ პატრიარქმა გვიჩიო და რეალური საქართველოს მდგომარეობაც ამას გვკარნახობს, რომ მეტად გავაცნოთ ხალხს ავტორიტეტები - ცხოვრების წესითა და ქვეყნისადმი მსახურებით გამორჩეული ადამიანები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საერთო-სახალხო და სამთავრობო პოლიტიკად უნდა ჩამოყალიბდეს!

გვახსენდება მერაბ ბერძენიშვილისა და რეზო ჩხეიძის საუბარი, რომლებმაც თითქმის შეთანხმებულად თქვეს: როცა გყავს გურამ დოჩანაშვილი, პირველ რიგში მისი აზრი უნდა აინტერესებდეს ხელისუფალთ და საერთოდ, ყველას, ვინც ქვეყნის მომავალზე ფიქრობს. მერაბ ბერძენიშვილმა ასეთი დიდი ხაზგასმაც გააკეთა: ნონა გაფრინდაშვილი სადაც არ უნდა შევიდეს, თუნდაც კინოთეატრში, ყველანი ფეხზე უნდა წამოვუდგეთო.

სწორედ ეს არის ადამიანის ღვანლისა და გამოცდილების შეფასებაც და აღიარებაც.

ამ ნაწილში ჩვენ შემთხვევით არ ვსაუბრობთ ასე დეტალურად და ლირიკულ სტილში. ეს ღერძია ყველაფრის. თვით გამოთქმა „სახელმწიფო კაცები“, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. სწორედ ერის მამა თვლიდა, როგორც ეს ზემოთ უკვე ვთქვით, სახელმწიფო იმის მიხედვით იზომება, რამდენი მთქმელი ჰყავ-

სო, ანუ რამდენი გამორჩეული ადამიანი ჰყავს. როცა მივდივართ ნამდვილის დაფასების გზით, იქ საზოგადოებაში ყალბის, ფსევდოს ადგილი ნაკლებად რჩება.

სწორედ ეს შემოგვთავაზა კუვეიტიდან დაბრუნებულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. 2011 წელს. თავის ქადაგებაში ისაუბრა ამ ქვეყნის გამოცდილებაზე, სადაც შექმნილი აქვთ, ხაზს ვუსვამთ, კანონმდებლობით, ავტორიტეტულ ადამიანთა საკრებულო, რომელიც აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ეს შეხვედრები რომლებიც პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით მიდის, იღებს გადანყვეტილებებს, უგზავნის მთავრობას, რომელიც არ არის ვალდებული ყველა გადანყვეტილება გაიზიაროს, მაგრამ ვალდებულია, განიხილოს.

აი, ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატია! ავტორიტეტების მიერ გადანყვეტილებების მიღება ხდება საჯაროდ ხალხის თვალწინ და მთავრობის პასუხიც ასევე საჯაროდ, სახალხოდ, პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით ხდება ცნობილი. მოსახლეობას აქვს საშუალება დაინახოს, რას სთავაზობენ ხელისუფლებას - რას იზიარებს და რაზე ამბობს უარს იგი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ასეთი ინსტიტუტის არსებობას ამჟამინდელ საქართველოში. ეს დიდი საკითხია და არ გამოვრიცხავთ, რომ ერთ-ერთი მთავარი თემა კონგრესის სესიებზე მსჯელობისას, რომელიც შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ ეროვნულმა ყრილობამ განსაკუთრებული პრინციპების დაცვით საქართველოს ხელისუფლებასთან და პარლამენტთან დათათბირებით, შეიძლება აირჩიოს კიდევ ასეთი ორგანო. მანამდე კი, ეს დიდი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მეცნიერთა კონფერენციის მიერ დასახელებულმა და სპორტის სასახლეში შეკრებილი კონგრესის მიერ მხარდაჭერილმა ავტორიტეტულ ადამიანთა გუნდმა.

საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები უამრავი ჰყავს ჩვენს ქვეყანას ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში, განათლება-

ში, მედიცინაში, სპორტში. ყველა ქალაქსა და სოფელში არიან საერთო-სახალხო ნდობით აღჭურვილი ადამიანები, რომელთა ერთობას უაღრესად პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ასეთი გუნდი, პრაგმატული ენით თუ ვიტყვით, დღეს აწყობს ძლიერ ხელისუფლებას და ჩვენი ურთიერთობების გაძლიერებას აფხაზ და ოს ძმებთან, სადაც დღეს უფროსი თაობის მიმართ კულტია, სადაც ხელისუფალთთვის კითხვის ქვეშაც კი არ დგება უხუცესთა გადაწყვეტილება.

ჩვენი ეს პოზიცია პირდაპირ კავშირშია დემოკრატიული მსოფლიოს გამოცდილებასთან, რომელსაც დიდი მოაზროვნის, შარლ მონტესკიეს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები უდევს საფუძვლად: “ყოველ ერს, ხალხს მისი ხასიათის შესატყვისი კანონები უნდა ჰქონდეს. მთავარია, ზომიერი მმართველობა, რომლის დეფიციტი შეიძლება დემოკრატიულ სისტემაშიც წარმოიშვას. ამიტომ, უმთავრესია ძალაუფლების დანაწევრება, საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ სხვადასხვა ძალებმა ერთმანეთი შეაკავონ- რათა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არ მოხდეს. თუ არაა მათ შორის დაპირისპირება, ურთიერთკონტროლი – ყველაფერი იღუპება.”

დღეს საკითხი ასე დგას: სახელმწიფო კაცების საკრებულო აუცილებელია, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ის ნამდვილად სახელმწიფო კაცების საკრებულო იყოს და ამის საფუძველი მისი ზუსტად და სკურპულოზურად ჩამოყალიბებული, როგორც შექმნის წესი, ასევე ის კრიტერიუმები უნდა იყოს ვინ შეიძლება ავირჩიოთ ასეთ ავტორიტეტულ ორგანოში. არავისთვისაა საკამათო, რომ ესენი უნდა იყვნენ უზადო რეპუტაციის მქონე 70 წელს გადაცილებული პიროვნებები, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის მიზნები არ აქვთ, მაგრამ აქვთ ქვეყანაში მდგომარეობის ცვლილების დიდი სურვილი. კეთილ საქმეთა კეთების წარსულიც აქვთ და ეს მომავალშიც შეუძლიათ. რომელთაც აქვთ კოლეგების მაღალი ნდობა არა მარტო ქვეყანაში, არამედ ქვეყნის გარეთ. რომელთაც იციან

ქვეყანაში არსებული მდგომარეობაც და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც, რომელთაც აქვთ ქართული ცნობიერება და აზროვნებენ ზოგადკაცობრიულად, რომელთაც ცხოვრებით დაადასტურეს ქვეყნისა და ხალხისადმი სიყვარული, მონაწილეობა არ მიუღიათ დაპირისპირების გაღვივებასა და საომარ მოქმედებებში. რომლებიც ყოველთვის საქვეყნო ინტერესებს იცავდნენ და არ გამოხატავდნენ პარტიულ მიკერძოებას.

უნაკლო მხოლოდ ღმერთია. ყველას უნდა შეეფუნდოთ ადამიანური სისუსტეები. ასეთი დაღის გარეშე, დრომ და ეპოქამ არავინ დატოვა.

პირველ ეტაპზე, შეიძლება ეს გაკეთდეს მთავრობის, საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთშეთანხმებული ზოგადი დებულებით. მეორე ეტაპზე - ეროვნული ყრილობის მიერ მოწონებული და საქართველოს პარლამენტის მიერ კანონად ქცეული დებულებით. მნიშვნელოვანია, რომ როგორც დროებითი დებულების, ასევე კანონპროექტის შემუშავება უნდა მიდიოდეს მოსახლეობის, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების აქტიური მონაწილეობით. ჩვენ, მეცნიერთა ჯგუფი, ვმუშაობთ დროებითი დებულების პრინციპებზე. შევეხებით ზოგიერთ დეტალს.

„სახელმწიფო კაცების საკრებულოში“ კანდიდატის დასახელება ღია და თავისუფალია. შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, ჩვენს თანამემამულეს. პირველ ეტაპზე მან უნდა მიიღოს მინიმუმ 5 000 კაცის მხარდაჭერა, რის შემდგომაც იწყება საერთო-სახალხო განხილვა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 5000 კაცის მიერ მხარდაჭერილი, საერთო-სახალხო განხილვის შედეგად მოწონებული კანდიდატების სია საბოლოოდ უნდა დაადასტუროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავრობის თავმჯდომარემ, პრეზიდენტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ საკრებულოში გაცილებით ძნელი უნდა იყოს მოხვედრა, ვიდრე პარალმენტში, მთავრობაში და თუნდაც, პრეზიდენტად.

ხალხს და ქვეყანას, დღევანდელ საქართველოს, მართლაც,

ჰაერივით სჭირდება სახელმწიფო კაცების ასეთი საკრებულო. იგი უნდა იყოს ხალხის იმედი და, როგორც თავის დროზე სოლონმა ხალხსა და არისტოკრატიას შორის შემაერთებელი ხიდის როლი შეასრულა, ასეთივე უნდა შეასრულოს ამ საკრებულომ დღევანდელ საქართველოში ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებისთვის.

რეალურია თუ არა ასეთი ინსტიტუტის-სახელმწიფო კაცების საკრებულოს შექმნა?

რეალურზე რეალურია, თუ ეს აწყობს ხელისუფლებას! თუ არ აწყობს - მაინც რეალურია შექმნას ხალხმა, მით უფრო, რომ ეს წინადადება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნის და ქვეყნის განვითარების კონცეფციის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ შემქმნელ ჯგუფს ამ საკითხზე მუშაობის ლოცვა-კურთხევა მოგვცა. მთავარია, ხალხში იყოს ეს განწყობა და არ შეშინდეს ის, ვისაც ხალხის მხარდაჭერა ექნება.

ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მარწმუნებს: დიდი სიფრთხილით შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტში შესვლისთვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს და ამავე დროს, შევებვნოთ, სწორედ რომ შევებვნოთ, და ხელისუფლებაში მოვიყვანოთ ის ადამიანები, ვინც მართლა, ჰაერით სჭირდება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ჩვენს სამშობლოს!

*რომან რურუა
საზოგადო მოღვაწე, ოლიმპიური ჩემპიონი*

პიროვნებათა პარლამენტი - პიროვნებათა ხელისუფლება

საქართველოს მომავალი არა ბელადებთან, მილიარდერთან, არა ოლიგარქებთან, არამედ განათლებულ ადამიანთა ხელისუფლებასთან, პიროვნებათა ხელისუფლებასთან არის დაკავშირებული.

ტრადიციულად, საქართველოში პიროვნება ნიშნავდა ავტორიტეტულ კაცს, საზოგადოებრივად საყრდენ კაცს, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველს და წარმმართველს, სულიერებით სავსეს, უღალატოს, პრინციპულს, გაჭირვებულისადმი თანამდგომს, ხალხის ცხოვრებით მცხოვრებს და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის თავდადებულს, ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, საკუთარი აზრებითა და ხალხის განწყობით მცხოვრებს. ასეთი მდგენელებისგან იქმნება პიროვნება და მისი რეპუტაცია.

სწორედ მაღალი რეპუტაციის პიროვნებები გვჭირდება ხელისუფლებაში ყველა დონეზე: მთავრობის თავმჯდომარით, პრეზიდენტით, პარლამენტის თავმჯდომარით, სასამართლოს თავმჯდომარით დაწყებული, სოფლის გამგებლით დამთავრებული.

ცდება ყველა, ვინც ამბობს, რომ ასეთი ხალხი არ გვყავს. გვყავს, მაგრამ არ გვაქვს მათი მოძებნის მექანიზმი და სისტემა. ამ პროცესს ისიც აძნელებს, რომ წლების განმავლობაში

მთელი სახელისუფლებო ვერტიკალის უავტორიტეტო ადამიანებით დაკავებამ, ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით მთელი ხელისუფლების დაკომპლექტების დამანგრეველი სისტემის დამკვიდრებამ, მაღალი რეპუტაციის პიროვნებებს დაუკარგა ხელისუფლებაში მონაწილეობის სურვილი.

რა მივიღეთ? პარტიებში ზნეობის დეფიციტია, ზნეობრივ ადამიანებში - პარტიების მიუღებლობა, კანონით კი, მთელ სახელისუფლებო ვერტიკალს პარტიები აკომპლექტებენ. არ ხარ პარტიის წევრი, ქვეყნის მართვაში შენი მონაწილეობა, პრაქტიკულად გამორიცხულია.

ეს ანტიქართული გზაა. ამ გზას ხელისუფლებაში ქვეყნის გარეთ კარგად განვრთნილი და სწორედ გარე ძალთა მსახური, პრაქტიკულად, არაქართული ცნობიერების ადამიანები მოჰყავს. **აქვე ვთქვათ, დღემდე საარჩევნო სიებს ადგენდნენ და ხელისუფლებას აკომპლექტებდნენ პოლიტიკური პარტიები, ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერები.** ამ გზამ ჩიხში შეგვიყვანა.

ჩვენ სხვა გზას ვირჩევთ. სიები უნდა შედგეს მხოლოდ ხალხთან და საზოგადო მოღვაწეებთან დიდი მოთათბირების საფუძველზე.

ჩვენთვის უპირველეს კრიტერიუმთა შორისაა რეპუტაცია, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ქართული ცნობიერება, შერწყმული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან.

ჩვენ სამარცხვინოდ მიგვაჩნია დღემდე დამკვიდრებულ, ასაკობრივ გრადაციასა და ვამბობთ: ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი.

ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პარტიიდან პარტიაში მორბენალ მედროვეებზე, ყველას და ყველაფერს რომ ერგებიან.

ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა. მაგრამ რამდენიმე პირობით, მხოლოდ ისინი, ვინც:

- ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;
- არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნის დროს;

● სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად გადაქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა;

● დღესაც აქვს დიდ და კეთილ საქმეთა კეთების რესურსი.

ჩვენ უნდა გვინდოდეს, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვენილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს - ისე, როგორც ეს ხდება ვეროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ამ ადამიანების გამოცდილება. ქვეყანაც გამთლიანდება მათი პარლამენტში ყოფნით და წარმოუდგენლად გაიზრდება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ 2 მილიონზე მეტი ადამიანის სახელით უნდა შევძლოთ ისეთი ადამიანების პოლიტიკურ არენაზე გამოყვანა, ვისაც:

● კარგი კონტაქტები აქვს იმ ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან;

● დიდი ავტორიტეტი აქვს ქართულ დიასპორაში;

● კარგი რეპუტაციით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში.

დღევანდელ საქართველოს სჭირდება პარლამენტი, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას გაცნობიერებული ექნება უპირველესი და უმთავრესი:

ქვეყანა, ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

ეს არ ნიშნავს ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან. ასე იყო და ასე იქნება, თუ ავირჩევთ არა ლაპარაკით, არამედ აზროვნებით ქართული ცნობიერების ადამიანებს, თუ უარს ვეტყვით ურაპატრიოტებსაც და გლობალისტებსაც.

ჩვენ ასეთი ადამიანებით და ასეთი გაბედული ქმედებებით შევექმნით დიდ ქართულ ერთობას - ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია მეცნიერთა შეფასებით, ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ზოგადქართულ დოკუმენტში, „მოქმედების მანიფესტი - ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“.

პიროვნებათა ხელისუფლების შექმნის მექანიზმი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: ერთდროულად მიდის რამდენიმე პროცესი, რომელთა ერთობლიობა შედეგად გვაძლევს მაღალი რეპუტაციის მქონე პიროვნებათა გუნდს:

- ყველა აკადემიკოსს, პროფესორს, შემოქმედებითი კავშირის წევრს, ეს დაახლოებით 5 000 - ზე მეტი ადამიანია, ეგზავნება სპეციალური წერილი თხოვნით, რომ ერთი თვის განმავლობაში, მოგვანოდოს სია იმ პიროვნებების, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნა სამომავლოდ მიაჩნია მიზანშეწონილად. სასურველია, ეს იყოს არა მარტო მისი პირადი, არამედ მისი გარემოცვის აზრიც, თუნდაც მის მიერვე შემუშავებული ხალხთან მოთათბირების მექანიზმით შერჩეულ პიროვნებათა გუნდი.

- საქართველოს ყოველ ქალაქში, პიროვნებათა ასეთი გუნდის შედგენაში ღიად მონაწილეობს 1000-დან 5 000-მდე (გამომდინარე ქალაქისა და რაიონის სიდიდიდან) ადამიანი... ამდენივე მონაწილეობს ანონიმურ სოციოლოგიურ კვლევაში.

- იქმნება ამ საქმისთვის სოციალური ქსელის გამოყენების განსაკუთრებული მექანიზმი. ერთ-ერთი ასეთია ფეისბუქის დახურული ჯგუფი „მორალური გუნდი“, რომელიც განიხილება, როგორც ერთიანი საინფორმაციო სივრცე, რომელშიც მიდის პირდაპირი დისკუსია და ყოველი გადანყვეტილება განხილვისათვის გამოდის ღია სივრცეში.

სამივე მექანიზმით მიღებული მასალები მუშავდება და მათი შეჯერებით ყალიბდება 50-კაციანი ჯგუფი ყოველი ქალაქისა და რაიონის მიხედვით. ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში და გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდგომ, ტარდება მოსახლეობის მინიმუმ, 20 პროცენტის ანონიმური გამოკითხვა, რომლის შედეგადაც ყველა ის პიროვნება, ვინც მიიღებს მოსახლეობის მინიმუმ, 25 პროცენტს - შედის რაიონულ თუ საქალაქო სახალხო საარჩევნო შტაბში, რომელიც ერთი თვის განმავლობაში სრუ-

ლი კონსესუსით ირჩევს დეპუტატობის, მერობის და გამგებლის კანდიდატს.

იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი რეპუტაციის პიროვნებათა შერჩევის მიძიმე მექანიზმს ვიღებთ, ეს პროცესი დროში ასე გვაქვს წარმოდგენილი.

- **თებერვალი-აპრილი** - მიდის მოსახლეობის მომზადება ამ პროცესში მონაწილეობისთვის პრესის, ტელევიზიის და სოციალური ქსელის მეშვეობით. ყოველკვირეულად იქნება ორი სადისკუსიო გადაცემა: „ვქირაობთ ხელისუფლებას“ და „ვქმნით პიროვნებათა ხელისუფლებას“. ამავე პერიოდში, კონკრეტდება გამოკითხვებში მონაწილეთა სიები;

- **აპრილი** - რიგდება შესაბამისი წერილები კონკრეტულ პიროვნებებზე

- **მაისი - იკრიბება** როგორც ღია, ასევე ანონიმური გამოკითხვების და დაგზავნილი წერილების პასუხები, ანალიზდება და დგება 50 - კაციანი სიები

- **ივნისი** - ანონიმური სოციოლოგიური კვლევის შედეგად, დგინდება სახალხო - საარჩევნო შტაბების შემადგენლობა... ივნისის ბოლოს იწყება ლიდერთა გამოკვეთის როგორც რეგიონული, ასევე ქვეყნის მასშტაბის შეკრებები.

- **ივლისის** თვიდან მოქმედებაში მოდის კადრების სწავლებისა და მომზადების სპეციალური სისტემა იმ თვალსაზრისით, რომ 2020 წლის დასაწყისისთვის, რეალურად იყოს ცნობილი ხალხის მაღალი ნდობის მქონე კანდიდატები, როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივი არჩევნებისთვის.

- მესამე ეტაპზე, 2020 წლის თებერვლიდან - საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებამდე, ერთიანდება ორი პროგრამა: „**ვქირაობ ხელისუფლებას**“ და „**ვირჩევ ხალხის პარლამენტს**“. პარტიების მიერ გამოქვეყნებული სიების პარალელურად, ქვეყნდება ხალხის პროგრამაც და ხალხის მიერ შედგენილი საარჩევნო სიებიც.

**მეცნიერთა კონგრესი -
ეროვნული თანხმობისთვის.**

ხალხის პროექტი - „ჰქირაობ ხელისუფლებას“

(კონცეფცია)

დღემდე არსებულმა პრაქტიკამ, როცა არჩევნების დროს პარტიები სთავაზობენ ხალხს პროგრამებს, ქვეყანა მწარე რეალობის წინაშე დააყენა. ჩვენ მივიღეთ ე.წ. იმიჯმაიკერების“ მიერ სიმართლის მანტიაში გახვეული ტყუილით არჩეული პარტიები და ხელისუფლებები. დღემდე არ არსებობს ქვეყნის პოტენციალის კვლევა. მოკლედ რომ ვთქვათ, იმის ინვენტარიზაცია, რას ვფლობთ და რა შედეგების მიღწევაა შესაძლებელი ამ პოტენციალის სრულად ამოქმედებით.

დღეს რეალობა ასეთია: ხალხი და ხელისუფლება სხვადასხვანაირად აფასებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. ყველა ხელისუფლება თვითკმაყოფილია, ხალხი - უკმაყოფილო. რეალურად სიყალბეში ვცხოვრობთ. ხალხმა ვერ გააცნობიერა, რომ ის არის ბატონ-პატრონი ქვეყნის და ხელისუფლებამ კი ის, რომ მსახურია და არა უფროსი. კიდევ უფრო დიდი პარადოქსია ის, რომ დამოუკიდებლობის პირობებში დაქირავებული მეორე დღიდანვე იწყებს ფუფუნებაში ცხოვრებას, დამქირავებელი კი - ანუ ხალხი, კიდევ უფრო ღარიბდება. პრაქტიკულად, 30 წლის განმავლობაში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაღატაკდა, აღარაფერი დარჩა გასაყიდი, მაშინ როცა დაქირავებულების, ანუ ხელისუფლების გამდიდრებას საზღვარი აღარ აქვს.

დღემდე ყველა ხელისუფლების თვითკმაყოფილება გამართლებულია პრინციპით: „**რაც შემიძლია, ვაკეთებ**“. დღეს ქვეყანას სჭირდება არა ეს, არამედ მყარად დამკვიდრება პრინციპის: მუშაობა შესაძლებლის მაქსიმუმზე. ჩვენი პროექტი სწორედ ამას ეყრდნობა. მეცნიერები ხალხთან ურთიერთობაში, აყალიბებენ რეალურ პროგრამებს: როგორც სოფლის, ქალაქის, რაიონის, მხარის, ასევე დარგების მიხედვით. და რაც მთა-

ვარია, ქვეყნის მასშტაბით. ეს პროგრამები გამოაქვთ არჩევნების წინ და აცხადებენ, რომ იმ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ მხარს, პირდაპირ ვთქვათ, იმ პოლიტიკურ ძალასთან გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომელიც დაარწმუნებს იმაში, რომ შეუძლია ხალხის მიერ მეცნიერთა მონაწილეობით შედგენილი პროგრამის შესრულება.

ეს კონცეფცია არ გამოირიცხავს ძველის ძალაში დატოვებას. რომ პარტიები მოსახლეობას სთავაზობენ თავიანთ პროგრამას. თუმცა პარალელურად იარსებებს ხალხის პროგრამაც და ხალხის მიერ შერჩეული პოლიტიკური გუნდიც, რომელიც სწორედ იმ პრინციპით იქნება შერჩეული, რომ ეს პროგრამა შესრულდეს. ეს იქნება ჯანსაღი კონკურენცია, ნამდვილად დემოკრატიული, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოქმედებაში მოვიყვანოთ ქვეყნის უნიკალური პოტენციალი და დავამთავროთ ყალბი პოლიტიკური ძალების პარპაში ქვეყანაში.

კონკრეტული მეცნიერულის გარდა, როცა მეცნიერები რეალური მდგომარეობის ანალიზითა და ხალხთან დიდი კონსულტაციების შესაბამისად მუშაობენ პროგრამების შედგენაზე, პარალელურად მიმდინარეობს ღია დისკუსია „**ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება**“. დისკუსია იქნება როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე მედია საშუალებებში. დარწმუნებული ვართ, გამოჩნდება ტელევიზია, რომელიც მას გააშუქებს. დისკუსია იქნება ღია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცემა მასში მონაწილეობის საშუალება. ყოველკვარტალურად შედგება წარმომადგენლობითი შემაჯამებელი დისკუსია. პირველი ასეთი იქნება 2019 წლის მარტის მეორე დეკადაში.

პროგრამის რეალიზაცია მოხდება სამ ეტაპად

პირველი ეტაპი 2018 წლის 1 დეკემბრიდან - 2019 წლის 1 ივლისამდე

მეორე ეტაპი: 2019 წლის 1 ივლისიდან - 2020 წლის 1 თებერვლამდე

მესამე ეტაპი : 2020 წლის 1 თებერვლიდან - 2020 წლის 21 სექტემბრამდე

შემაჯამებელი დღეები: 21 – 27 სექტემბერი ღვთისმშობლობიდან ჯვართამაღლებამდე.

პირველ ეტაპზე იქნება დისკუსია ძირითადად რესპუბლიკურ დონეზე, ხოლო მას შემდგომ, რაც ხალხთან მოთათბირებით, ყოველ ქალაქსა და რაიონში შეიქმნება 20-25 კაციანი გუნდი, ავტორიტეტული, ხალხის ნდობით აღჭურვილი პიროვნებებით, **მეორე ეტაპზე**, განსაკუთრებული სიმძაფრით ეს დისკუსიები გაიმართება ყოველ ქალაქსა და რაიონში. **მესამე ეტაპზე** უკვე დაიწყება წარმოდგენილი პროგრამების განხილვა და ხალხის მონაწილეობით მათთვის საბოლოო სახის მიცემა.

21-27 სექტემბერს გაიმართება შემაჯამებელი დღეები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **„ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“** ეროვნულმა ყრილობამ დაამტკიცოს **მომავლის პროგრამა**, ანუ ის ორიენტირი, რა მოთხოვნებსაც ხალხი უყენებს მომდევნო პარლამენტსა და ხელისუფლებას და გააფორმებს ხელშეკრულებას იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც მეტად დაარწმუნებს ამ პროგრამის შესრულების რეალობაში.

დასკვნის სახით

მეცნიერთა კონგრესს - ეროვნული თანხმობისთვის მიაჩნია, რომ ასეთ მექანიზმებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკურ არენაზე ხალხის მაღალი ნდობით აღჭურვილი პიროვნებების გამოყვანა. ეს გზა აგვაცილებს რევოლუციებს და დაასრულებს ქუჩის პოლიტიკოსთა პარპაშს ქვეყანაში

**მეცნიერთა კონგრესი
ეროვნული თანხმობისთვის**

- კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია, რომელსაც ძილშია ცარსძინავს - ქვეყნის უბედურებით გულალტკინებულია
- მე თქვენ გაღვიძებთ, მძინარე ქართველნო, თქვენ კი მეორე გვერდზე ტრიალდებით და მაგინებთ!
- ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივინყებს

ილია ქავჭავაძე

მართალი ანუ მომავლის ბელევიზიის კონტურები (მეცნიერთა ჯგუფის მოსაზრებები)

**თავისუფლება პასუხისმგებლობის
ბარეში არ არსებობს!**

I. შეფასებითი ნაწილი, ანუ რა გვჭირს

ქართული საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის. იგი ემსახურება არა ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს, არამედ ან გარე ძალთა ინტერესების გაძლიერებას ქვეყანაში, ან ოლიგარქების პოლიტიკურ ინტერესებს, ან პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის ინტერესებს. მთავარი გახდა ფული... სამწუხაროდ, საინფორმაციო სივრცეში სიმართლე და ფული გაიგივდა.

მდგომარეობა მართლაც, უმძიმესია. სატელევიზიო სივრცე

გაივსო საექვო მიზნის თოქ-შოუებით, ტენდენციური საინფორმაციო გადაცემებით, ქართული სულისა და ცნობიერებისთვის მიუღებელი უცხოური ფილმებით. ქართული სატელევიზიო სივრცე დასცილდა სატელევიზიო პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებს, ახლოსაც კი არ არის დემოკრატიასთან.

სახელმწიფო ათეულ მილიონობით ბიუჯეტის, ანუ ხალხის ფულს ხარჯავს ე.წ. საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის, რომელიც საბოლოო შედეგით გარკვეული ჯგუფის ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისას.

ასე გაგრძელება შეუძლებელია. ქვეყანას ჰაერივით სჭირდება მართალი ტელევიზია.

ჩვენთვის მიუღებელია, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური ტელევიზია... შემაშფოთებელია სატელევიზიო სივრცის ასეთი პოლიტიზება და ასეთი უარყოფა ცნობილი მოღვაწეებისა და მეცნიერების... აბსოლუტურად გაუგებარია საინფორმაციო საშუალებებს ჰყავდეთ თავიანთი ფავორიტი პარტიები საერთოდ და მით უფრო, არჩევნების დროს... აბსოლუტურად გაუგებარია, როცა ტელევიზიების თავხედობა ყოველგვარ ზღვარს სცდება - ჰყავთ საკუთარი პრეზიდენტობის კანდიდატები და ა.შ.

II. ჩვენი წინადადებები

ჩვენ, მეცნიერთა ჯგუფის, საერთაშორისო და ქვეყანაში აღიარებული ექსპერტების მონაწილეობით, ვინცებთ მუშაობას სახალხო ტელევიზიის კონცეფციის შესაქმნელად. ეს პროცესი ღიაა და ჩვენ ყველას ვინცევეთ მონაწილეობისთვის. სასურველია, დაიწყოს პროფესიული დისკუსია ამ საკითხზე, რათა შევძლოთ ხალხის მოსაზრებების გათვალისწინება. კარგი იქნებოდა, ეს დისკუსია რომელიმე ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაცემულიყო.

III კონცეფციის შექმნამდე:

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ საინფორ-

მაცხოვრებელსა და მისი საქმიანობის სრულყოფის თვალსაზრისით. ჩვენს რიგებში არიან ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ცნობილმა მოღვაწეებმა, მათ შორის, **მერაბ ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ** მიმართეს თხოვნით, შექმნილიყო მოდელი, კონცეფცია სახალხო, ანუ თავისუფალი ტელევიზიის, რომელსაც გაცნობიერებული ექნებოდა, რომ თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე არ არსებობს, როგორც ამას დიდი ამერიკელი მწერალი **უილიამ ფოლკნერი** დამაჯერებლად და დადასტურებულად ამბობს: “ადამიანი თავისუფალია მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში”

ბატონმა **რეზო ჩხეიძემ** თხოვნით მიმართა ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, არ დაეხურა ტელეკომპანია **მე -9 არხი** და ის გადასცემოდა მეცნიერებას და კულტურას. მსგავსი არხი არსებობს მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. რუსეთმაც კი ძლიერი პროგრამით შეძლო მისი განხორციელება და ეს საერთაშორისო ინსტიტუტებმაც აღიარეს.

მას შემდეგ, რაც ცნობილი მოღვაწეების თხოვნა უპასუხოდ დარჩა, ბატონმა **რეზო ჩხეიძემ** დააფუძნა ტელევიზია **„ქართული TV“**. მის მიერ გაკეთებული მიმართვა დიდი მამულიშვილობის, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მაღალი ზნეობის კარგი მაგალითია **თითოეული ჩვენგანის და მომავალი თაობებისთვის**. სწორედ ამიტომ, ამ მასალას თან ვურთავთ **რეზო ჩხეიძის წერილს**.

უდიდეს პიროვნებას, **მერაბ ბერძენიშვილს** გადანყვეტილი ჰქონდა კულტურის ფონდის თანადგომით ამ საქმის გაგრძელება, რაც დღესაც დღის წესრიგში დგას.

ჩვენ ფასეულად მიგვაჩნია ამ **ჯგუფის გადანყვეტილება**, რომ ეს იყოს სააქციო საზოგადოება, რომლის აქციების 4%-ზე მეტის შეძენის უფლება არავის არ ექნება, რათა ტელევიზიამ არ დაკარგოს დამოუკიდებლობა.

ასევე მნიშვნელოვნად და ფასეულად ვთვლით წინადადებას, რომ პირველ ეტაპზე საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახი და საქართველოს გარეთ მცხოვრები მამულიშვილთა ოჯახები

გახდნენ აქციონერები და პარალელურად შემუშავდეს ნამდვილად ხალხის მსახური, ყოველი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის მატარებელი ტელევიზიის კონცეფცია.

ძალიან საინტერესოა უცხოეთში მცხოვრები ქართული წარმომავლობის ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენისა და მოღვაწის წინადადება, რომ დემოკრატიული საჩუქარი გაუკეთოს საქართველოს და დაეხმაროს ყველა იმ ოჯახს ერთი აქციის შექმნაში, რომელსაც დღეს ამის საშუალება არ გააჩნია. ეს წინადადება განსაკუთრებული მხარდაჭერით იქნა მიღებული იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში.

ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, რომ არის მართალი ტელევიზიის აუცილებლობა, რომ ამ საქმის სათავეებთან იდგნენ და დგანან დიდი ავტორიტეტები, გაჩნდა უნიკალური იდეა დემოკრატიული საჩუქრის და ამ მოსაზრებას აქვს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა. გვერდით ვუდგებით ამ ტელევიზიას, როგორც გადაცემების მომზადებაში ჩვენი უანგარო მონაწილეობით, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში აქციების შექმნით. ვფიქრობთ ქველმოქმედებაზეც და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეიქმნას დიდი გუნდი, რომლის თითოეული წევრი ყოველთვიურად, ტელევიზიას. მინიმუმ 10-15 ლარით დაეხმარება

ჩვენ ყველას დავანახვებთ, რა შეუძლია ერთობას... რა შეუძლია ერთობით და სწორ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილ ტელევიზიას. ჩვენ ამ ეტაპზე, მხარს ვუჭერთ ტელევიზიის დღევანდელ მესვეურთა წინადადებას, რომ:

- ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება, თავისი მოსაზრება გამოთქვას ამ ტელევიზიით

- ტელევიზიამ მიმართოს ქვეყნის პირველ პირებს (მთავრობის თავმჯდომარე, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, სასამართლოს თავმჯდომარე, მინისტრები, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეები, თბილისის მერი და გუბერნატორები) კვარტალში ერთხელ უპასუხონ მოსახლეობის შეკითხვებს

● თვის განმავლობაში გარკვეული დრო (30-60 წთ) ჰქონდეთ:

- პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს;
- ქალაქს, რაიონს, მხარეს, დიდ სოფლებს;
- უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებს, შემოქმედებით კავშირებს;
- პროფკავშირებს;
- ადვოკატთა საზოგადოებას;
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებს;
- ქართული ტრადიციული ბიზნესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პროდუქციას;
- საბანკო სექტორს;
- დიასპორას.

ჩვენ პოზიტიურად ვაფასებთ ტელევიზია “ქართული TV“- ის შემოქმედებითი გუნდის პოზიციას, საქმიანობის მთავარ საფუძვლად აქციონ დიდი ქართული პროგრამული დოკუმენტი: „მოქმედების მანიფესტი - ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“ . გააკეთონ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის - ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი ეპოქის ანალიზი, მეცნიერთა მონაწილეობით; შექმნან დოკუმენტური ფილმი - „რა მისცა მსოფლიო ცივილიზაციას საქართველომ“; დოკუმენტურად ისაუბრონ ჩვენს უცხოელ მეგობრებზე, როგორც დიდი ილია იტყოდა, „შორეულ თავისიანებზე“; საქართველოს და მთელ მსოფლიოს გააცნონ ის დიდი კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც წარსულში დაკავშირებულია ქართველებთან და დღესაც უამრავი ქართველი მთელს მსოფლიოში საოცრებებს ახდენს; მთელ მსოფლიოს აჩვენონ, როგორ ცხოვრობენ უცხოელები საქართველოში და როგორია დამოკიდებულება ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებისადმი უცხოეთში.

იმის გათვალისწინებით, რასაც ვკითხულობთ ამ ტელევიზიის მესვეურთა კონცეპტუალურ ხედვაში, თუ როგორ სატელე-

ვიზიო ბადეზეც ფიქრობენ, მიგვაჩნია, რომ ამ საქმეს დიდი მხარდაჭერა ექნება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ურუნალისტიკის კათედრებისგან.

უალრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ეს ტელევიზია გახდება საქართველოს განვითარების კონცეფციის, „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ იდეების ხალხთან მიტანის და ამ პროგრამის გახორციელებაზე ორიენტირებული ტელევიზია.

მართლაც, უნიკალური იქნება, თუ ჩვენი თანადგომით, „ქართული TV“ შეძლებს, იყოს ჩვენი დიდი მოღვაწეების მიერ მიღებული და პატრიარქის მიერ დალოცვილი გადამწყვეტილების, „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“ ჩატარების მთავარი ორგანიზატორი. რაც ითვალისწინებს არა მარტო ორგანიზებას, არამედ კონგრესის სესიების პირდაპირ ეთერში ჩვენებას მსოფლიოს 40 ქვეყნის 85 ქალაქიდან და საქართველოს ყოველი რეგიონის ცენტრიდან.

მხოლოდ საერთო თანადგომას შეუძლია ამ უნიკალური იდეის რეალიზება და როგორც იუნესკოში გვითხრეს: „ასეთი დიდი ერთსულოვნებით შექმნილი ტელევიზია, მართლაც, უნიკალური ფაქტი იქნება მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში“.

მეცნიერთა კონგრესი
ეროვნული თანხმობისთვის

ეს დიდი ბედნიერებაა და უდიდესი პასუხისმგებლობაც!

19 იანვარს, ნათლილებას, სადღესასწაულო წირვის აღვლენისა და წყლის კურთხევის შემდეგ, სამების ტაძრის საკურთხეველში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გადაეცა „ქართული ერთობის დარბაზის“, „მეცნიერთა კონგრესის ეროვნული თანხმობისთვის“ და „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ ინიციატივითა და საქართველოს მეცნიერთა დიდი ჯგუფის მონაწილეობით შექმნილი და წიგნად გამოცემული ქვეყნის განვითარების კონცეფცია: **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**.

კონცეფცია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. მას წამძღვარებული აქვს პატრიარქის სიტყვები: **“რასაც თქვენ ფიქრობთ და რის გაკეთებასაც აპირებთ, ეს ჰაერით სჭირდება საქართველოს“**.

კონცეფციის მთავარი მიზანია: ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა!

ეს ორ წელზე გათვლილი პროგრამაა, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოს 40 ქვეყნის 85 ქალაქში და საქართველოს რეგიონებში **„ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესის“** სესიების ჩატარებას, რომელიც **2020 წლის შემოდგომაზე** დასრულდება თბილისში ამავე სახელწოდების მსოფლიო კონგრესით. კონგრესი დაამტკიცებს მომავლის საქართველოს პროგრამას, რომელიც დაფუნდებულია ძველ ქართულ და მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით და **„სახელმწიფო კაცების საკრებულოს“**.

კონცეფცია ეყრდნობა თაობათა, საქართველოსა და საქართველოს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილთა ერთიანობის უმთავრეს იდეას, რომლის ინიციატორებიც ახალგაზრდები არიან.

პატრიაქმა ლოცვა -კურთხევა მისცა **8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს**, გელათში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კომპლექსში „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“ გახსნას, რაც ნიშნავს კონგრესის ორწლიანი ციკლის დაწყებას.

კონცეფცია „**გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ**“ პატრიარქს ინიციატორთა და ავტორთა სახელით (ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად), გადასცა „ქართული ერთობის დარბაზის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა **თეიმურაზ შაშიაშვილმა**. მათ პატრიარქს მოახსენეს, რომ წიგნად გამოცემული კონცეფციის იმ ეგზემპლიარს, რომელიც მას გადაეცა, ხელს აწერენ 300-მდე კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები და ახალგაზრდების ჯგუფი, რომ ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ეს ხელმოწერა **19 აგვისტოს, ფერიცვალებას, ხარაგაულში, რკინის ჯვარზე** სწორედ იმ ადგილზე გააკეთა, სადაც პირველი საუკუნის 30-იან წლებში **ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა** რკინის ჯვარი აღმართეს.

„ეს დიდი შეხვედრა იყო, მით უფრო რომ ის შედგა ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე, შედგა სამების ტაძრის საკურთხეველში. ეს ბედნიერებაცაა და უდიდესი პასუხისმგებლობაც ყველა იმ ორგანიზაციისა და პიროვნების, რომელთაც ევალებათ საქართველოს განვითარების კონცეფციის „**გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ**“ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება“, - აღნიშნეს პატრიარქთან შეხვედრის მონაწილეებმა.

გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ
პრეს-ცენტრი
21.01.2019წ

საქართველოს განვითარების კონცეფციის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ შესრულების მთავარი ეტაპები და ღონისძიებები

პროგრამის რეალიზაცია მოხდება სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი 2018 წლის 1 დეკემბრიდან - 2019 წლის 1 ივლისამდე
 - მეორე ეტაპი: 2019 წლის 1 ივლისიდან - 2020 წლის 1 თებერვლამდე
 - მესამე ეტაპი :2020 წლის 1 თებერვლიდან - 2020 წლის 21 სექტემბრამდე
- შემაჯამებელი დღეები: 21 - 27 სექტემბერი „ღვთისმშობლობიდან -ჯვართამაღლებამდე“.

პირველი ეტაპის ძირითადი ღონისძიებები:

19 იანვარი 2019წ.

ქვეყნდება პროგრამული დოკუმენტი „ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მათა“.

4 თებერვალი 2019წ.

ბოლო ორი თვის განმავლობაში შემოსული წინადადებების გათვალისწინებით, ქვეყნდება ხალხის წერილი: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“ 8 თებერვლამდე გრძელდება მისი განხილვა სოციალურ ქსელში. 8 თებერვლისთვის იღებს საბოლოო სახეს და წაკითხული იქნება გელათის მეცნიერებათა აკადემიაში „მხარდამჭერთა კონგრესზე“ .

29 იანვარი 2019წ.

ვებ.გვრდის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ პრეზენტაცია

10 თებერვალი, 2019წ.

გამოცემის, „მომავლის საქართველოსთვის“ (სათაური პირობითია) პრეზენტაცია.

გამოცემაში შეტანილი იქნება ხალხის წერილი: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, მეცნიერთა კონგრესის „ეროვნული თანხმობისთვის“ განაცხადი: „ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მაფია“, კონცეფცია სახალხო პროექტებისა: „ვექირაობ ხელისუფლებას“, „პიროვნებათა ხელისუფლება“, საქართველოს განვითარების კონცეფციის „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ შესრულების მთავარი ეტაპები და ღონისძიებები

8 თებერვალი 2019წ.

პროგრამის მხარდამჭერთა საინიციატივო ჯგუფის კონგრესი გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ შენობაში.

კონგრესს წარედგინება:

- სრული პროგრამა 2020 წლის 21 სექტემბრამდე
- ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის ჩატარების პროგრამა
- „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ შექმნის კონცეფცია
- „პიროვნებათა პარლამენტი-პიროვნებათა ხელისუფლების“ შექმნის კონცეფცია
- ხალხის პროექტი-„ვექირაობ ხელისუფლებას“ - კონცეფცია
- ტელევიზიის კონცეფცია
- მიღებული იქნება მიმართვა ქვეყნის გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი

9 თებერვალი 2019წ.

გელათის კონგრესის ორგანიზატორთა პრესკონფერენცია კონგრესის შედაგებთან დაკავშირებით.

11 თიბერვალი 2019წ.

„ხალხის წერილი“ ქვეყნდება პრესაში და გადაეცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და დაიწყება მისი გადაცემა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მთელ ვერტიკალში. სოფლის, რაიონის, ქალაქის, მხარის დონეზე, მინისტრებზე, პარლამენტარებზე.

2019 წ. თიბერვალი „მორალურ გუნდში“ დაიწყება დისკუსია: „ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს მომავლის საქართველოსთვის!“

2019 წ. თიბერვალი - იქმნება „ბიუჯეტის კვლევის ცენტრი“ (მოსახლეობამ უნდა იცოდეს, საიდან ივსება ბიუჯეტი და სად იხარჯება და შეიძლება თუ არა ამ ბიუჯეტით გაცილებით მეტი საქმის გაკეთება, ვიდრე დღეს კეთდება

2019 წ. თიბერვალი ფონდის, „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ დაფუძნება და პრეზენტაცია

თიბერვლის მეორე ნახევრიდან ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს - „ქართული ერთობის დარბაზის კონგრესის“ სესიები სამეზობლო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში

„მეცნიერთა კონგრესის ეროვნული თანხმობისათვის“, სესიები:

2019 წლის მარტი - საქართველოს პოტენციალი

2019 წლის ივნისი - რეალური მდგომარეობა ქვეყანაში

2019 წ. მარტი განახლდება და გაცილებით ეფექტური გახდება „ქართულ -ოსური“ და „ქართულ-აფხაზური“ მისიების მუშაობა.

9 აპრილი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ყველა მოწვევა

ვის პარლამენტართა შეკრება და საპარლამენტო ასამბლეის შექმნა (ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში)

2019 წ. აპრილი იქმნება „რეპუტაციის კვლევის ცენტრი“ და მოქმედებაში მოდის პროგრამა, „პოლიტიკოსთა ცხოვრების წიგნი“ (ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს მათ შესახებ, ვინც პოლიტიკაშია ან აპირებს პოლიტიკაში მოსვლას)

26 მაისი, 2019წ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესის გახსნა პარიზის ქართველთა მამულ ლევილში.

- **2019 წ.** ივნისი - ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესის სესიები საბერძნეთის ქალაქებში: ოლიმპო, ნიკეა, ათენი

თებერვალი - მარტი - ტელევიზია „ქართული TV“ - ს ამოქმედება განახლებული პროგრამით (თებერვალი)და მისი სახალხო ტელევიზიად რეორგანიზაციის კონცეფციის განხილვა (მარტი)

2018 წ. დეკემბერი - 2019წ. ივნისი - დისკუსია „ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“

2018 წლის 1 დეკემბრიდან იწყება კონსულტაციები მეცნიერთა შორის ხალხის პროექტი - **„ვექირობ ხელისუფლებას“** კონცეფციის შექმნის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, იწყება დისკუსია **„ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“**, რომელიც გრძელდება სამივე ეტაპის განმავლობაში და მთავრდება იმ პროგრამის შექმნით, რომელიც გამოქვეყნდება ხალხის სახელით და რომელშიც დეტალიზებული იქნება არჩევნების წინ ხალხის მიერ პარტიათათვის წამოყენებული მოთხოვნები. პროგრამა დგება მეცნიერებისა და ხალხის ორწლიანი თანამშრომლობით. ეს იქნება რეალური პროგრამა, ანუ პროგრამა შესაძლებლის მაქსიმუმზე, თუ რისი გაკეთება იქნება შესაძლებელი, დაწყებული ნებისმიერი სოფლით, ქალაქით, რაიონით, მხარით, დამთავრებული ქვეყნით. ეს სრულიად ცვლის დღემდე არსებულ სისტემას, როცა პარტიები სთა-

ვაზობდნენ არარეალურ და ტყუილზე აგებულ პროგრამებს, ახლა ხალხი გამოაქვეყნებს პროგრამას და დაიქირავენ იმ ხელისუფლებას, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას ამ პროგრამის შესრულებაზე.

დისკუსია იქნება როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე მედიის საშუალებებში. დარწმუნებული ვართ, გამოჩნდება ტელევიზია, რომელიც მას გააშუქებს. დისკუსია იქნება ღია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცემა მასში მონაწილეობის მიღების საშუალება. ყოველკვარტალურად შედგება წარმომადგენლობითი შემადგამებელი დისკუსია. პირველი ასეთი იქნება 2019 წლის მარტის მეორე დეკადაში.

2019წ. თებერვალი - 2019წ ივლისი - დაიწყება „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ შექმნის პროცესი (განსაკუთრებული პროგრამით)

2019წ თებერვალი - 2019წ ივნისი - ქვეყნდება პროგრამული დოკუმენტი (19 იანვარი) „ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მაფია“, ქვეყნდება ხალხის წერილი „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“(8 თებერვალი) და სპეციალური პროგრამით წარიმართება შეხვედრები როგორც მოსახლეობასთან, ასევე სხვადასხვა დონის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მასში დასმული საკითხების შესრულების მიზნით.

2019წ თებერვალი - 2019წ ივლისი - „ხალხი ქმნის საარჩევნო სიას“

„პიროვნებათა პარლამენტის“ შექმნის პროცესი სპეციალური პროგრამით

2018წ.დეკემბერი -2019წ.ივლისი - მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფი იწყებს მუშაობას სამართლიანობის დამკვიდრების რეალური პროგრამის შედგენის მიზნით ერთმანეთთან კავშირდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული მოსახლეობის ვალების დაბრუნება და სოციალურ-ეკონომიკური პროექტი ნატურალურ პროდუქტებზე ქვეყნის გადაყვანის თვალსაზრისით. ამ მიზნით, მუშავდება კონცეფციას „ანარმოე, იყიდე, ნაახალისე მხოლოდ ნატურალური“

2018წ.დეკემბერი -2019წ.ივლისი - მეცნიერთა პატრონაჟით და ემიგრანტთა მონაწილეობით, ხელისუფლებაში წარსადგენად მუშავდება დიდი პროექტი: **„ემიგრანტები მომავლის საქართველოსთვის“**

2019 წ. თებერვალი - 2019 წ. ივნისი - მოქმედებაში მოდის ახალგაზრდული პროგრამა - **„მადლიერება, პატივგება, ერთობა!“**

2018წ.დეკემბერი -2019წ.ივლისი - იქმნება კომპეტენტური ჯგუფები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ობიექტური შესწავლისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებათა გამოკვეთის მიზნით (ჯგუფები იქმნება როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით)

2018 წ. დეკემბერი - 2019წ. ივლისი - მოხდება მეცნიერთა მიერ მომზადებული საქართველოს განვითარების კონცეფციის, **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** (სპეციალური გამოცემის დარიგება სახელისუფლებო რგოლებში, სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებზე

ინფორმაციისთვის: ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებ.გვერდზე www.civilizebuli.ge

შინაარსი

ნინ დიდი გეგმებია-----	3
ხალხის წერილი-----	4
ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მაფია! ----	14
„სახელმწიფო კაცების“ საკრებულო -----	31
პიროვნებათა პარლამენტი - პიროვნებათა ხელისუფლება--	38
ხალხის პროექტი -	
„ვექირაობ ხელისუფლებას“ (კონცეფცია)-----	43
მართალი ანუ მომავლის ტელევიზიის	
კონტურები (მეცნიერთა ჯგუფის მოსაზრებები) -----	46
ეს დიდი ბედნიერებაცაა და	
უდიდესი პასუხისმგებლობაც!-----	52
საქართველოს განვითარების კონცეფციის	
„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“	
შესრულების მთავარი ეტაპები და ღონისძიებები -----	54